თუ მეტი ძალაუფლება გვექნება, ათჯერ მეტს გავაკეთებთ A3
კვირის TV-პროგრამა B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 13 დეკემბერი, 2002 წელი. №194
ფასი 50 თეთრი

# ბათიაშვილი იცავს სამხედრო უწყების ინტერესებს

### რათა მან ქვეყნის დაცვა შეძლოს


ნატო-სკენ მიმავალი გზა კორუფციის ჭაობზე გადის

ივერი ლომჯარიის ფოტო

*თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი კონსულტაციებს მართავს საქართველოს პრეზიდენტთან, სახელმწიფო მინისტრთან და ფინანსთა მინისტრთან, რათა გათვალისწინებულ იქნას საკანონმდებლო ორგანოს მიერ ახლახან მიღებული დადგენილება "2003-2005 წლებში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების შესახებ" და 2003 წელს დავით თევზაძის უწყებას ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 11,1 პროცენტი გამოეყოს, რაც, დაახლოებით, 80 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.*

გიორგი ასანიშვილი

ბათიაშვილს კარგად ესმის, თუ რაოდენ რთულ საქმეს ეჭიდება: მთავრობისთვის ასეთი თანხის "გაგდებინება" ადვილი ნამდვილად არ არის. მითუმეტეს, რომ ამასწინანდელი საკომიტეტო მოსმენის დროს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა სამხედრო უწყების ასიგნების გაზრდაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე იმედს არ კარგავს და მიიჩნევს, რომ ნატო-ში შესვლაზე ორიენტაციის

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### ბალტიისპირელები ევროპასთან ინტეგრაციაში დაგვეხმარებიან

დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს სტუმრობს. ნატო-სთან და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობაში უკვე "გამოცდილი" ბალტიისპირელი პოლიტიკოსები საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელს ხვდებიან.

A3

## უცხოეთი

### პოლიციელებით გარშემორტყმული კოპენჰაგენი ევროკავშირის სამიტს მასპინძლობს

გუშინ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ევროკავშირის სამიტი გაიხსნა, რომელმაც გაფართოების საკითხები, კვიპროსის პრობლემა და ევროკავშირში შესვლის შესახებ თურქეთის განაცხადი უნდა განიხილოს.

A4

## საზოგადოება

### რად გვინდა თქვენი ჭილდოები?!

ომის ვეტერანებმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს ხელისუფლება მათი უფლებების იგნორირებაში. იმ სახელმწიფო ჯილდოებს, რომლებიც ომის ვეტერანებმა, დამსახურების გამო, პრეზიდენტისგან გულუხვად მიიღეს, დღეს ჩალის ფასი დაედო. მეომრები აცხადებენ, რომ, თუ უახლოეს დღეებში ხელისუფლება მათ სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს, 2 იანვარს, ბედობის დღეს, ვეტერანები საკუთარ ჯილდოებს სანაგვეზე მოისვრიან.

A8

## ნომრის პერსონა

### ჩვენ კრიმინალების ინტერესები შევლახეთ

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის, იგნასიო ირიბარენის, ღარიბი ქართული ლექსიკონიდან საყვარელი სიტყვაა "ვაიმე". საქართველოში მუშაობისას დაგროვილი ცუდი შთაბეჭდილების გარდა, მთავრობისგან ცოტაც და ერთ ცუდ რამეს გადაიღებს - ლამის ყველა არსებულ უბედურებას ხალხს აბრალებს... ხალხს, რომელიც ელექტროენერგიას იპარავს და ფულს არ იხდის. მისი აზრით, მთავრობამ თავისი მოქალაქეებისგან სწორი ქცევა უნდა მოითხოვოს...

B1

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | -2 | ☁ |
| ქუთაისი | 2 | ❄ |
| ბათუმი | 5 | ❄ |
| სოხუმი | 1 | ❄ |
| ფოთი | 4 | ❄ |
| თელავი | -2 | ☁ |
| ზუგდიდი | 3 | ❄ |
| გორი | -5 | ❄ |
| ახმეტა | -3 | ☁ |
| ჭიათურა | -3 | ❄ |
| გაგრა | 1 | ❄ |
| სამტრედია | 3 | ❄ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.1857 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4055 |
| რუბლი | 0.0678 |

## რელიგიური ექსტრემიზმი - ბარიერი ნატო-სკენ მიმავალ გზაზე

შოთა უტიაშვილი

საშობაო არდადეგებზე გამგზავრებამდე, აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი ჟურნალისტებს შეხვდა.

საუბრის დასაწყისშივე ელჩმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მიერ **"გადამწყვეტი, ძალიან საჭირო ნაბიჯების გადადგმას"**. მისი განცხადებით, მართალია, ადამიანის უფლებათა პატივისცემა აუცილებელია, მაგრამ **"სახელმწიფო ვალდებულია იცოდეს, ვინ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე"**. მით უმეტეს, იმ პრობლემების ფონზე, რაც პანკისის ხეობაში არსებობდა.

პანკისის ხეობაზე საუბრისას, ბატონმა მაილსმა თქვა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცით, როგორც ჩეჩენი ბოევიკების, ისე საერთაშორისო ტერორისტების უდიდესმა ნაწილმა, დიდი ხანია, დატოვა ხეობა.

აშშ-ს ელჩის განცხადებით, მისი მთავრობა დადებითად უყურებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობის შემცირებას, რაც ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე შეიმჩნევა. ბოლო ხანს აშშ-ს ხელისუფლება ინტენსიურ კონსულტაციებს აწარმოებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, როგორც თბილისთან, ისე მოსკოვთან.

აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ელჩმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის - რუსეთთანაც. აშშ კვლავინდებურად

გაგრძელება A3 გვერდზე

## 136-დღიანი კოშმარი სომალიში, შეიძლება, დღეს დასრულდეს

### ბერძენმა გემთმფლობელმა თითო ქართველ მეზღვაურში მეკობრეებს 2500 დოლარი გადაუხადა

*დღეს საღამოს სომალიში დატყვევებული ექვსი ქართველი მეზღვაური შეიძლება გაათავისუფლონ. "მგონი გვიშვებენ, დღეს გვეუბნებიან, რომ ხვალ გაგვიშვებენ, თანხა მიუღიათ და კმაყოფილები არიან, თუმცა, მართლა გაგვიშვებენ თუ არა ხვალ, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჩვენც მხოლოდ ღმერთის იმედზე ვართ," – გვითხრა გუშინ ერთ-ერთმა დატყვევებულმა ზურაბ გიორგაძემ, რომელსაც "24 საათი" ტელეფონის მეშვეობით დატყვევებულ გემ "ჟენლილზე" დაუკავშირდა. დღეს 136-ე დღე შესრულდა, რაც ინდოეთის ოკეანეში, ადენის ყურეში, სომალის სანაპიროსთან ახლოს, ადგილობრივ მეკობრეთა 20-კაციანმა ჯგუფმა, ჩრდილოეთ კორეის დროშით მცურავი, საბერძნეთის ტვირთმზიდი გემი "ჟენლილი" დაატყვევა, რომელზეც ექვსი ფოთელი მეზღვაური, 36 წლის კაპიტანი არტურ არუთუნიანი, კაპიტნის უფროსი თანაშემწე - 37 წლის ზურაბ გიორგაძე, უფროსი მექანიკოსი - 44 წლის ნიკოლოზ პიჟოვი, მეორე მექანიკოსი - 48 წლის ალექსანდრე ჩიჩაძე, 51 წლის ელექტრიკოსი ანატოლი არხანგოროდსკი და 51 წლის კოკი - გულადი რუხაძე იმყოფებოდნენ.*

*"ჩვენ 30 ნოემბერს გადავრიცხეთ 85 ათასი დოლარი სომალის მოსაზღვრე სახელმწიფო ჯიბუტიში, მას შემდეგ ყოველდღე ველოდებით ქართველი მეზღვაურებისა და გემის განთავისუფლებას," – გვაცნობა "ჟენლილის" მეპატრონე კომპანიის ბერძნული კომპანია პალას ნავიგეიშენის ადვოკატმა ნიკოს სოფრასმა.*

ზაზა წულაძე

### ფოთელები ბერძნულ გემზე

ექვსი ქართველი მეზღვაური საბერძნეთის კომპანია **პალას ნავიგეიშენს** (სოფრასის ცნობით, "ჟენლილის" მეპატრონე სწორედ ეს კომპანიაა, თუმცა გემს **SUCCES MARITIME INC**-სი მართავს) ფოთელი არტურ არუთუნიანის მეშვეობით დაუკავშირდა. **"მამა გამოცდილი მეზღაურია. ამჯერად სამსახურს ეძებდა და არუთუნიანმა ეს ვარიანტი შესთავაზა. ეკიპაჟის ექვსივე მეზღვაური ფოთელია. არუთუნიანი და გიორგაძე, კაპიტანი და კაპიტნის თანაშემწე, საერთოდ მეზობლები არიან**

გაგრძელება A2 გვერდზე


*სიბაქ-რუუნის კლანის მეკობრე. ფოტო გადაღებულია 1997 წლის აგვისტოში, ბოსაასოს სანაპიროსთან*

## პოლიცია საკუთარი უსუსურობის შენიღბვას პოლიტიკური სპეკულაციით ცდილობს

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"სადი შარიფოვის გატაცებისა და მკვლელობის საქმე უახლოეს დღეებში გაიხსნება. დადგენილია გამტაცებელ ეჭვმიტანილთა წრე და ამჟამად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს მათ დასაკავებლად",** – ამ განცხადებას სამართალდამცველები სადი შარიფოვის ცხედრის პოვნისთანავე აკეთებენ. თუმცა, ზუსტად მსგავსი შინაარსის განცხადებები მათ ცხრა დღის წინ, ნავთობკომპანია "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის გატაცებიდან მეორე დღესვე გააკეთეს. უფრო მეტიც, შინაგან საქმეთა მინისტრმა მაშინ პირობაც დადო, რომ გატაცებულ მოხუცს, უახლოესი 24 საათის განმავლობაში ოჯახის წევრებს დაუბრუნებდნენ. გუშინ კი ბოლნისი-კაზრეთის გზაზე მდებარე ერთ-ერთ ხევში ნაპოვნი სადი შარიფოვის გვამი სამართალდამცველებმა ბოლნისიდან თბილისის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრში ორი ბოლნისელი პოლიციელის თანხლებით გამოგზავნეს.

**"ჩვენი მინისტრი პირობას წინასწარ არაფერზე დებს, მას ეს სიტყვები არ უთქვამს"**, –ასე დაიცვა შეფის ღირსება მისმა ხელქვეითმაა ზურაბ ჩხაიძემ ჩვენთან საუბრისას და კობა ნარჩემაშვილის სიტყვების არასწორად ინტერპრტირებაში მასმედია დაადანაშაულა.

ერთი სიტყვით, ნავთობკომპანია "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის, უკვე მეორედ გატაცებული 74 წლის მამა, სამართალდამცველებმა ცოცხალი ვერ ნახეს. ამჟამად კი მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენას – სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას უცდიან. **"მეცნიერულ დონეზე ნათქვამ სიტყვას დავეყრდნობით. მანამდე არაფრის თქმა არ შეგვიძლია ",** - ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ზურაბ ჩხაიძის კომენტარი.

გაგრძელება A7 გვერდზე

## საქართველოს მთავრობის ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები

*9 დეკემბერს აფხაზეთის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი დახურული სხდომა გაიმართა. სხდომას ქართული დელეგაცია არ დასწრებია. რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტის ცნობით, საბჭოზე რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება კვლავაც ვერ მოხერხდა.*

შოთა უტიაშვილი

ბოლო წელს გაერო-ს მთელი ძალისხმევა კონცენტრირებული იყო ბოდენის დოკუმენტის ჩარჩოებში მხარეებს შორის მოლაპარაკებათა დაწყებაზე. საქართველოს მთავრობა თანახმაა, "უფლებამოსილების გამმიჯნავი დოკუმენტი" მიიღოს, აფხაზები კი აცხადებენ, რომ 1999 წლის "რეფერენდუმის" საფუძველზე, ისინი სრული დამოუკიდებლობის გარდა, არაფერზე დათანხმდებიან.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სემეკი ზედმეტად მიაჩნიათ

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ მოსამართლე ბესარიონ ზოიძის თავმჯდომარეობით "ეი-ი-ეს თელასის" პრივატიზებისა და ტარიფის ზრდასთან დაკავშირებული პროცესების, პრეზიდენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა და ბრძანებულებების წინააღმდეგ "ლეიბორისტების" ლიდერის შალვა ნათელაშვილის სარჩელის განხილვა განაგრძო. ამჯერად ენერგოსისტემასთან დაკავშირებულ სადაო საკითხებს სასამართლოს მიერ ტექნიკური უნივერსიტეტიდან მოწვეული სპეციალისტები აფასებდნენ. მათი დასკვნები ხან მოსარჩელე მხარის წისქვილზე ასხამდა წყალს, ხან მოპასუხეების სასარგებლოდ ჟღერდა. ჰოდა, სპეციალისტების მიმართ საყვედურები და "ჩამჭრელი" კითხვებიც რიგ-რიგობით ისმოდა.*

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV-პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა 20-21 დეკემბერს ცხინვალში შედგება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგოსისტემაში სამშაბათს დილით მომხდარი ავარიის გამო საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს, მათ შორის – თბილისს, ელექტროენერგიის მიწოდება მთლიანად შეუწყდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გაზაფხულზე პანკისის ხეობაში რადიაციულ მდგომარეობას შეამოწმებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ საქართველო მზად არის რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგისთვის, "რასაც შეიძლება პოზიტიური ნაბიჯები მოჰყვეს", მათ შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხედრო საკითხებზე ქართველ და რუს ექსპერტებს შორის ოთხშაბათს გამართულ კონსულტაციებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო "კონსტრუქციულად" მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 7-პროცენტიან ბარიერს გადალახავს და საკანონმდებლო ორგანოში მოხვდება, დარწმუნებულია ამ ორგანიზაციის ლიდერი, პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი საფარ აბიევი კვირას, 15 დეკემბერს საქართველოს ეწვევა სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი უხელმძღვანელებს საქართველოს სამხედრო დელეგაციას, რომელიც 20 დეკემბერს ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ჩინეთში გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპაში აშშ-ს შეიარაღებული ძალების გენერალური კაპელანი ჯონ სტეფერო საქართველოს შეიარაღებულ ძალებს კაპელანის სამსახურის შექმნასა და განვითარებაში დაეხმარება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ძალისხმევის გააქტიურების თაობაზე შეთანხმდნენ მოსკოვი და სოხუმი, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი რუსეთის დედაქალაქიდან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯორჯ მარშალის ცენტრის მიერ ამ დღეებში მიუნჰენში გამართულ სემინარზე, რომელიც კიბერტერორიზმის პრობლემებს მიეძღვნა ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსმა ჰენრი კუპრაშვილმა საინფორმაციო ფსიქოლოგიური ტერორის პრობლემაზე ისაუბრა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნების ქართულ-აფხაზური კომისიების მუშაობის დაწყება მოითხოვა. დევნილთა დაბრუნება ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ გალის რაიონს შეეხება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში ე.წ. გლდანის ეპარქიის წინამძღოლის ბასილ მკალავიშვილისა და მისი თანამოაზრეების სასამართლო პროცესი კიდევ ერთხელ გადაიდო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კაპანაძე თამბაქოს ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის თამბაქოს ნედლეულის იმპორტზე არსებული შეღავათების გაუქმებას ითხოვს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა უწყების უცვლელმა ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი თითქოსდა აფხაზეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში მოსალოდნელია ჩეჩენთა სახელით ტერორისტული აქტების მოწყობა, რომელთა რეალური ორგანიზატორიც რუსეთის ხელისუფლება იქნება, - განაცხადეს "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" წარმომადგენლებმა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**ათბილისი.** აფხაზეთი უნდა იყოს ავტონომიური რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოწესრიგებასთან დაკავშირებით აშშ-ს ასეთი პოზიცია აქვს, - განაცხადა გაერო-ში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ რიჩარდ უილიამსონმა სოხუმში თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან გამართულ შეხვედრაზე. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** "ცხინვალის რეგიონი სხვადასხვა სახის კრიმინალთა თავშესაფარია. ამ რეგიონში მოქმედებს ადამიანების გამტაცებელთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რაც ტერორიზმის გამოვლინებაა," - განაცხადა საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროში გუშინ დამოუკიდებელი მაკონტროლებელი საბჭოს წევრების შეხვედრა გაიმართა. საბჭოს წევრის გიორგი თევზაძის განცხადებით, სხდომაზე განიხილეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოსაგვარებელი საკითხები, მათ შორის, №5 საპყრობილეში პატიმრების სოციალური პირობების გაუმჯობესება, თბილისის ქალთა კოლონიის შენობაში სარემონტო სამუშაოების დამთავრება და სხვა პრობლემები. **მედია-ნიუსი.**

# 136-დღიანი კოშმარი სომალიში, შეიძლება, დღეს დასრულდეს

პირველი გვერდიდან

**და ფოთში რიგვავას ქუჩაზე ერთ სახლში ცხოვრობენ,"** – გვითხრა "ჟენლილზე" მყოფი ნიკოლოზ პიჟოვის შვილმა რომა პიჟოვმა, რომელიც დედასთან ერთად მეხუთე თვეა, რაც მამის დაბრუნებას ელოდება. საქართველოს მეზღვაურებს მსოფლიოს საზღვაო "თეთრ წიგნში" შეტანის შემდეგ, ნებისმიერ უცხოურ გემზე მუშაობის უფლება აქვთ. თუმცა, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ცნობით, ამ მეზღვაურებმა ისე მოაწერეს საბერძნეთის კომპანიასთან კონტრაქტებს ხელი, რომ არც ერთი ქართული უწყება საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ.

ბერძნებმა ქართული ეკიპაჟი ჩრდილოეთ კორეის დროშით მცურავ, საშუალო ტვირთმზიდ გემ "ჟენლილზე" გაამწესეს, რომელსაც საბერძნეთიდან ტვირთის წამოსაღებად ინდოეთის ნავსადგურ შერვანდში უნდა წასულიყო. **"გემის ეკიპაჟმა მიიღო კონკრეტული დავალება. მე ახლა არ მაქვს უფლება, გითხრათ, რა ტვირთი უნდა წამოეღოთ მათ ინდოეთიდან, ეს კომპანიის კომერციული საიდუმლოებაა. სადღაც ივლისის ბოლოს გემთან კონტაქტი დაიკარგა. ეს მოხდა მათი სუეცის არხიდან გასვლის შემდეგ. მოგვიანებით ისინი დაგვიკავშირდნენ და გვაცნობეს გემის გატაცებისა და გამომსასყიდის მოთხოვნის შესახებ,"** – ამბობს ბერძენი ადვოკატი ნიკოს სოფრასი.

### თავდასხმა ადენის ყურეში

მეკობრეთა 15-20 კაციანი ჯგუფი, 30 ივლისს გამთენიისას, "ჟენლილს" მაშინ დაესხა თავს, როცა კაპიტანმა არუთუნიანმა ხომალდი საშინელ ღელვას განარიდა და დროებით, ქალაქ ბოსასოს ნავსადგურიდან 17 მილის მოშორებით გააჩერა. **"სწორად მოვიქეცი, სხვაგვარად გემი შეიძლება დაღუპულიყო. იმ საშინელი ღელვის გამო, მარშრუტიც კი შევცვალეთ და უკან, საბერძნეთისკენ ვაპირებდით დაბრუნებას,"** – გვითხრა გუშინ "ჟენლილის" კაპიტანმა. მეკობრეები ოთხი-ხუთი ნავით დაესხნენ თავს "ჟენლილს", მათ გემს ბაგირი მიაბეს და ბაქანზე ჯგუფურად გადაძვრნენ. ისინი ძირითადად ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. ქართველებს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თავდამსხმელებმა დამტვრეულ ინგლისურ ენაზე ძლივს გააგებინეს დატყვევებულებს, რომ გამოსასყიდს ითხოვდნენ. **"საბერძნეთს 30-შივე დავუკავშირდით, თუმცა, რეალურად მოლაპარაკებები მხოლოდ შუა აგვისტოდან დაიწყო,"** – გვითხრა ზური გიორგაძემ. მეკობრეებმა გემი ბოსასოს ნავსადგურს, დაახლოებით, 200 კილომეტრით მოაშორეს და ბერძენ გემთმფლობელთან უშედეგო მოლაპარაკებები დაიწყო. თავიდან მეკობრეებმა - 600 ათასი, ორი კვირის შემდეგ კი მილიონი დოლარი მოითხოვეს.

### დამოუკიდებელი პუნტლენდი

ტერიტორიაზე, სადაც თავდასხმა მოხდა, სომალის იურისდიქცია, ათ წელზე მეტია, არ ვრცელდება. 1960 წელს შექმნილ სომალის რესპუბლიკაში, 1991 წლის სამხედრო პუტჩის შედეგად დაამხეს დიქტატორ სიად ბარეს რეჟიმი და მას შემდეგ ყველაზე ღარიბ და საშიშ აფრიკულ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. შვიდმილიონიანი სომალი, სადაც უმეტესად მუსულმანი სომალელები (იგივე კუშიტები) ცხოვრობენ, დღეს ექვს დამოუკიდებელ "სახელმწიფოდ" არის დაყოფილი – ესენია საკუთრივ სომალის რესპუბლიკა, ჯუბალენდი, სომალილენდი, სომალის ცენტრალური შტატები, რახანიენი და პუნტლენდი. ტერიტორია, სადაც ქართველები ტყვედ აიყვანეს, სწორედ პუნტლენდია, რომელსაც მეზობელი ეთიოპიის მხარდაჭერით, პრეზიდენტ აბდილახ იუსუფის **მაჯერტინების კლანი** მართავს. ქართველების დამტყვევებლები კი სწორედ ამ კლანში შემავალი უფრო პატარა კლანის – **სიბაქ რუუნის** წარმომადგენლები არიან. **"მაჯერტინების კლანი პუნტლენდის მმართველი კლანია, პუნტლენდის არმია, უშიშროება, პოლიცია და საზღვაო ძალები სწორედ ამ კლანის მიერ არის დაკომპლექტებული. ხშირად, ისინი არ ემორჩილებიან თავიანთ მეთაურებს და გემებს იტაცებენ, არ გამოვრიცხავ, რომ "ჟენლილი" და ქართული ეკიპაჟი სწორედ პუნტლენდის მესაზღვრეებმა დაატყვევეს. შეიძლება, მათი მეთაურები საქმის კურსში არც არიან. პუნტლენდი აუღიარებელი ახალგაზრდა სახელმწიფოა და უჭირს ასეთ დანაშაულთან გამკლავება,"** – გვითხრა ბი-ბი-სის საკუთარმა კორესპონდენტმა პუნტლენდში ნურ შირე ოსმანმა, რომელიც ბოსაასოში ცხოვრობს. სომალი მსოფლიოს იმ ხუთი ქვეყნის რიცხვში შედის, სადაც მეკობრეობა ყველაზე მეტად არის გავრცელებული. პუნტლენდში გემის დატყვევება ყველაზე შემოსავლიან ბიზნესად ითვლება, სწორედ ამის გამო მსოფლიოს ნაოსნობის საერთაშორისო ბიურო, ათ წელზე მეტია, გემის კაპიტნებს კატეგორიულად ურჩევს, სომალის ნაპირებს 50 მილზე ახლოს არ მიუახლოვდნენ.




### ხელისუფლება და მძევლები

"ჟენლილის" დატყვევების ამბავი საქართველოში შუა აგვისტოში შეიტყვეს.

მანამდე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ გემი ჯერ - უკრაინის, შემდეგ -გერმანიის, ბოლოს კი ინგლისის საკუთრებად გამოაცხადა. ამის გამო ადენის ყურეში მყოფმა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატმა "ქემბერლენდმა" გემის მოძიებაც კი გადაწყვიტა, იგივეს შეეცადა საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი, თუმცა მას შემდეგ, რაც მეკობრეები მძევლების მოკვლით დაიმუქრნენ, მათ ძებნა შეწყვიტეს. დატყვევებული მეზღვაურების ბედი კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად მოიხსნა პასუხისმგებლობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მცდელობებს კი შედეგი არ მოუტანია. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, 19 აგვისტოს გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი შეხვდა სომალის წარმომადგენელს, თუმცა სანუგეშო ვერაფერი მოისმინა. 2 სექტემბერს იგივე პასუხი მოვიდა ინტერპოლიდან. გემის ეკიპაჟის ბედზე პასუხისმგებლობა მოიხსნა საბერძნეთის ხელისუფლებამაც, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ "ჟენლილი" მარშალის კუნძულებზე არის რეგისტრირებული. **"ამ გემს საბერძნეთთან იურიდიული კავშირი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ მისი მფლობელია საბერძნეთის მოქალაქე,"** – განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. არავითარი შედეგი არ გამოიღო მენაღარიშვილის უწყების მიმართვებმა აშშ-ს, იტალიის, გერმანიისა და საფრანგეთისადმი. აღმოჩნდა, რომ ისევე, როგორც საქართველოს, არც ამ ქვეყნებს აქვთ დიპურთიერთობა სომალისთან. 14 ნოემბერს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა დოლონაძე პრეზიდენტ შევარდნაძეს წერს: **"ამჟამად მეზღვაურთა მდგომარეობა უკიდურესად რთულია, მათ აუკრძალეს ყოველგვარი კონტაქტი გარე სამყაროსთან, გაუუარესეს ცხოვრების პირობები"**. ოქტომბრის დასაწყისში "ჟენლილის" მეპატრონემ საერთოდ უარი განაცხადა მოლაპარაკებებზე. პუნტლენდიდან კი მოვიდა მორიგი შემაშფოთებელი ცნობა ერთ-ერთი მეზღვაურის მძიმედ ავადმყოფობის შესახებ. როგორც შემდგომში "24 საათმა" გაარკვია, გულის შეტევა 51 წლის ელექტრიკოსს ანატოლი არხანგოროდსკის დაემართა, რომელმაც ამის გამო ცალ ყურში სმენა დაკარგა.

### 85000 დოლარი

თითქოს გამოუვალი სიტუაცია რადიკალურად ნოემბრის ბოლოს შეიცვალა, როცა "ჟენლილის" მეპატრონე კომპანიის ადვოკატებმა მოულოდნელად მეკობრეებთან მოლაპარაკებები განაახლეს. **"საქართველოში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს "პალას ნავიგეიშენმა" თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, სინამდვილეს არ შეეფერება, უბრალოდ, ჩვენ არ გვქონდა მილიონი დოლარის გადახდის საშუალება. ნოემბრის ბოლოს ჩვენ ბოსაასოდან მივიღეთ რამდენიმეპუნქტიანი წინადადება, შემდეგ გავუგზავნეთ საპასუხო წერილი, ამის შემდეგ კიდევ ერთი ორპუნქტიანი წინადადება მოვიდა. პირველი პუნქტში მეკობრეები ამბობდნენ, რომ გემსა და ეკიპაჟს გაათავისუფლებდნენ 85 ათას დოლარად, მეორე პუნქტში კი ნათქვამი იყო, რომ, თუ თანხის გადახდის შემდეგ გემსა და მეზღვაურებს არ გამოუშვებდნენ, მაშინ თანხას უკან დააბრუნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რისკი დიდი იყო, კომპანია SUCCES MARITIME INC – მა გადაწყვიტა, ფული გადაერიცხა. ჩვენ 30 ნოემბერს 85 ათასი დოლარი გადავრიცხეთ პუნტლენდის მოსაზღვრე სახელმწიფო ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში,"** – გვითხრა ნიკოს სოფრასმა. საინტერესოა, რომ გემი "ჟენლილი" 70 ათას დოლარად არის შეფასებული, ასე რომ, ერთი ქართველ მეზღვაურში მეკობრეები 2500 დოლარს მიიღებენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ბერძნული კომპანია კიდევ 15 ათას დოლარს უხდის შუამავლებს, რომელთა მეშვეობითაც დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკება. შუამავლები იმავე კლანის, სიბაქ-რუუნის წევრები არიან.

### ქიმიური ნარჩენები

ჯერჯერობით კვლავ გამოცანად რჩება ბრალდება პუნტლენდის ტერიტორიულ წყლებში, "ჟენლილის" ქართული ეკიპაჟის მიერ ქიმიური ნარჩენების ჩაშვების შესახებ. სწორედ ეს ბრალდება წაუყენეს გამტაცებლებმა ქართულ ეკიპაჟს. კიდევ ერთი ნაწყვეტი შოთა დოლონაძის შევარდნაძისადმი გაგზავნილი წერილიდან: **"გამტაცებლები აპირებენ მეზღვაურების გასამართლებას სომალის ტერიტორიულ წყლებში ქიმიური ნარჩენების ჩაშვებისა და მეზღვაურებზე თავდასხმის ბრალდებით, რასაც თითქოსდა მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი"**. გუშინ "24 საათთან" საუბარში, ქართული ეკიპაჟის ექვსივე წევრმა კატეგორიულად უარყო ეს ბრალდება. ამასვე აცხადებს ადვოკატი ნიკოს სოფრასიც. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს არც ბი-ბი-სის კორესპონდენტი პუნტლენდში ნურ შირე ოსმანი. როგორც ჩანს, სიბაქ რუუნის კლანის მეკობრეები ასეთ ხრიკებს ხშირად იყენებენ. "ჟენლილის" დატყვევებამდე სამი კვირით ადრე მათ ლიბანის დროშით მცურავი ხომალდი დააპატიმრეს და 100 ათასი დოლარით "დააჯარიმეს" იმ მიზეზით, თითქოს გემს სომალის ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთით, პუნტლენდის ხელისუფლების ოპოზიციისთვის იარაღის პარტია გადაჰქონდა.

**P.S. გუშინ, გვიან ღამით "24 საათი" კვლავ დაუკავშირდა ადვოკატ ნიკოს სოფრასს. მან გვითხრა, რომ სიტუაცია არ შეცვლილა. გამტაცებლები და შუამავლები გადარიცხული თანხის გაყოფაზე კვლავაც ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ გაურკვეველია, ზუსტად როდის გამოუშვებენ "ჟენლილს". სოფრასმა არ გამორიცხა, რომ ეს შეიძლება დღესაც მოხდეს. "24 საათს" დიდი იმედი აქვს, რომ ფოთელი მეზღვაურები სულ მალე დაუბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს.**

# „არავითარი ქიმიური ნარჩენები გემზე არ ყოფილა"

## ინტერვიუ სომალის ნაპირთან დატყვევებულ ბერძნული გემის ˝ჟენლილის˝ ქართული ეკიპაჟის წევრებთან

*გუშინ "24 საათს" პირველად მიეცა საშუალება, გასაუბრებოდა სომალის სანაპიროსთან დატყვევებულ "ჟენლილის" ქართული ეკიპაჟის წევრებს. როგორც გავარკვიეთ, მობილური ტელეფონი გემზე თავიდანვე ყოფილა, თუმცა დავალიანების გამო იგი გათიშული იყო. ორი დღის წინ კი გემის ფლობელმა კომპანია SUCCES MARITIME INC – მა დავალიანება გადაიხადა და ფოთელ მეზღვაურებთან გასაუბრების შანსიც გაჩნდა. მეკობრეებთან, დაახლოებით, ხუთწუთიანი საუბრის შემდეგ (ისინი მხოლოდ დამტვრეულ ინგლისურსა და ფრანგულს ფლობენ), როგორც ჩანს, მათ შორის მთავარმა, სახელად ჰამიკმა, ქართველებს ჩვენთან საუბრის უფლება მისცა. ფოთელები რიგ-რიგობით მოდიოდნენ ტელეფონთან.*

**– როგორ გრძნობთ თავს, ყველანი ჯანმრთელად ხართ?**

**გულადი რუხაძე:** ყველანი კარგად ვართ, თუ შეიძლება, ამას კარგად ყოფნა ერქვას.

**– როგორ მოხდა, რომ სომალის სანაპიროსთან ასე ახლოს მიხვედით, ფოთშიც და ბათუმშიც ყველა ამბობს, რომ თქვენ მეტად გამოცდილი ეკიპაჟი ხართ და არ შეიძლებოდა, არ გცოდნოდათ, რომ ეს სახიფათო იყო...**

**ზური გიორგაძე:** რა თქმა უნდა, ვიცოდით და არც გვიფიქრია სომალის ნაპირთან ასე ახლოს მოსვლა. 29 ივლისს საღამოს, როცა სუეცის არხიდან ინდოეთის ოკეანეში გავედით, საშინელი ღელვა იყო. ამან იძულებული გაგვხადა, გაშლილი ზღვიდან გამოვსულიყავით და სანაპიროსთან ცოტა მოშორებით დავმდგარიყავით, სადაც ღელვა ნაკლები იყო. ეს ღელვა არ წყდებოდა, ამიტომ კაპიტანმა გადაწყვიტა, რომ დილამდე გავჩერებულიყავით.

**არტურ არუთუნიანი:** სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ იყო. ძალიან ძლიერი გრიგალი იყო და შეიძლება ყველანი დავღუპულიყავით, ასეთი გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე. ისე, ნაპირიდან საკმაოდ შორს ვიდექით, მაგრამ, ეტყობა, მაინც შეგვამჩნიეს.

**– თავდასხმა, როგორც სომალის გაზეთებმა დაწერეს, 30 ივლისს გამთენიისას მოხდა, ეს სწორი ინფორმაციაა?**

**გულადი რუხაძე:** კი, მასე იყო, გამთენიისას რომ გამელვიძა, უცებ მოვიდნენ. რამდენიმე ნავით იყვნენ, ძირითადად ავტომატები ჰქონდათ, თუმცა, უფრო დიდი იარაღიც აქვთ, მაგის სახელი ზუსტად არ ვიცი.

**ალექსანდრე ჩიჩაძე:** ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა. გემზე სპეციალური ბაგირი ამოაგდეს და უცაბად ამოძვრნენ. რას ვიზამდით, ოცი კაცი მაინც იქნებოდა, მაგრად შეიარაღებული.

**– გემზე იარაღი არ გქონდათ?**

**არტურ არუთუნიანი:** არა, რა იარაღი... რომც გვქონოდა, წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით, ეგრევე ჩაგვხოცავდნენ.

**– შემდეგ რა მოხდა?**

**ნიკოლოზ პიჟოვი:** ჯერ ვერ გვაგებინებდნენ, 15-20 კაცი იყო, მაგათ ენაზე საუბრობდნენ. შემდეგ ვიღაცა ამოიყვანეს, ცოტა ინგლისური ბიჭებმაც იციან და გაგვაგებინეს, რომ დატყვევებულები ვართ. მოგვთხოვეს: გემის მფლობელს დაუკავშირდით და გამოსასყიდი მოსთხოვეთო.

**– როგორც ვიცი, თავიდან 600 ათასი მოითხოვეს...**

**გულადი რუხაძე:** ჩვენთან ეგენი გამოსასყიდზე არ ლაპარაკობენ, თუმცა ჩვენც გავიგეთ, რომ მაგდენი მოითხოვეს. მერე ეს ჯგუფი წავიდა და სხვა მოვიდა. იმათ, როგორც გვითხრეს, მილიონი დოლარი მოითხოვეს. ამის მერე გემის მეპატრონემ მოლაპარაკება საერთოდ შეწყვიტა.

**– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დატყვევების შემდეგ თქვენი ეკიპაჟი გაყვეს და სხვადასხვა ადგილზე წაიყვანეს, ეს სიმართლეა?**

**ნიკოლოზ პიჟოვი:** თავიდან სულ გემზე ვიყავით. სადღაც აგვისტოს 12 რიცხვისთვის, როცა საბერძნეთში გაიგეს გემის დატყვევების შესახებ, ნაპირთან, სოფელში ოთხი კაცი წაიყვანეს, მე და კაპიტანი აქ დაგვტოვეს. თვითონაც ასე 15-20 კაცი დარჩა გემის საყარაულოდ.

**ალექსანდრე ჩიჩაძე:** უცებ ჩამოგვიყვანეს გემიდან და ერთი დღე სოფელ ბარკალაში ვიყავით. ეს სოფელი ქალაქ ბოსასოს ნავსადგურიდან, დაახლოებით, 300 კილომეტრშია. მაშინ გვითხრეს, რომ თითქოს, ინგლისური სამხედრო გემი წამოსულა ჩვენს დასახსნელად და შეშინებიათ. იქ გამოქვაბულში ვიყავით და მერე ისევ გემზე დაგვაბრუნეს.

**ზური გიორგაძე:** მას შემდეგ სულ გემზე ვართ. ხანდახან გადავყავართ ხოლმე ნაპირზე, ბევრი სოფელი ვნახეთ, ქალაქ ბოსასოშიც ვიყავით. ისე, გემზე გვძინავს და აქ ვართ.

**როგორ გექცევიან?**

**არტურ არუთუნიანი:** პრინციპში, ისე, როგორც მეკობრე დატყვევებულს ექცევა.

**გულადი რუხაძე:** ვერიდებით მაგათთან ურთიერთობას. ყოფილა შემთხვევა, რომ სახეში როცა შეგვიხედავს, თავში ჩაურტყამთ. ამიტომ ვცდილობთ, ნაკლებად ვხვდებოდეთ თვალში.

**– როგორც ვიცით, ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი ძალიან ცუდად იყო, ახლა როგორ არის?**

**გულადი რუხაძე:** ელექტრიკოსი ანატოლი არხანგოროდსკი მართლაც ძალიან ცუდად იყო, გულის ტკივილები ჰქონდა. ეგ ყველაზე უფროსია გემზე. ახლა არა უშავს, მაგრამ მკურნალობა მაინც სჭირდება. მაგის ოჯახი არ შეაშინოთ ახლა, მართლა უკეთესად არის. დაგალაპარაკებდით, მარა ავადმყოფობის შემდეგ ცუდად ესმის, იძახის - ცალ ყურში აღარ მესმისო.

**– რას ჭამთ ძირითადად, რამე მოაქვთ მეკობრეებს, არის საერთოდ საჭმელი?**

**გულადი რუხაძე:** ამათ რა უნდა მოგვიტანონ, არაფერი არ აქვთ, ჩვენს დაჭერილ თევზს ჭამენ. თუ ვერ დავიჭირეთ, ჩვენც მშივრები ვართ და მაგენიც. ერთადერთი, თევზით გადავდივართ. ხანდახან ჩაიც არის და ბრინჯიც, მარა ძაან იშვიათად. ვცდილობთ, საჭმელზე არ ვიფიქროთ.

**– ამბოხებულთა მთავრობამ, რომელიც იმ ტერიტორიას აკონტროლებს, სადაც თქვენ იმყოფებით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს "ჟენლილს" ქიმიური ნარჩენები გადაჰქონდა და ვითომ თქვენ ამ ნარჩენების პუნტლენდის ტერიტორიულ წყლებში ჩაშვების გამო დაგაკავეს. ახლა კი ჯარიმას ვახდევინებთო, ამის შესახებ იცით რამე?**

**ნიკოლოზ პიჟოვი:** ეს არის სრული სისულელე. ეს არის სატვირთო გემი, რომელიც საბერძნეთიდან მიდიოდა ინდოეთის ნავსადგურ შერვანდში და ცარიელი იყო. ქიმიური ნარჩენები კი არა, გემზე საერთოდ არაფერი არ ყოფილა. გამტაცებლები მაგარი მატყუარა ხალხია.

**– ბერძენმა ადვოკატმა გვითხრა, რომ 85 ათასი დოლარი 30 ნოემბერს გადარიცხა ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში. ეგენი რას ამბობენ, მიიღეს თანხა?**

**არტურ არუთუნიანი:** მაგათ ლაპარაკს, ჯერ ერთი, სრულად ვერ ვიგებთ, მერე მაგარი უცოდინარი და მატყუარა ხალხია. ათ სიტყვაში ცხრას იტყუებიან. სულ გვპირდებიან, გაგიშვებთ, გაგიშვებთო, მარა არ დაადგა საშველი.

**ზური გიორგაძე:** დღესაც გვითხრეს, რომ თანხა უკვე ჩამოვიდა, საღამოს სოფელ ბარკალაში მოიტანენ და ხვალ გაგიშვებთო. რა ვიცი, ღმერთმა ქნას. ერთი ღმერთის იმედი გვაქვს...

**გულადი რუხაძე:** ლამის გავგიჟდე, სახლში ისე მინდა, სულ ოჯახზე, ბავშვებზე და შვილიშვილზე ვფიქრობ. საშინლად მენატრებიან. გადაეცით, რომ კარგად ვარ, ყველანი კარგად ვართ... ხვალ, იქნებ, მართლა გაგვიშვან.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# თუ მეტი ძალაუფლება გვექნება, ათჯერ მეტს გავაკეთებთ

სოფო ბუკია

თბილისის **"ნიჭიერ, პროფესიონალ და არაკორუმპირებულ"** ვიცე-პრემიერთა ახლადგამომცხვარი თანავარსკვლავედი საკრებულოს თავმჯდომარემ გუშინ ოფიციალურად გააცნო ჟურნალისტებს.

მანამდე სააკაშვილის მიერ მოწონებული ვიცე-პრემიერები ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილსს შეხვდნენ.

**"ეს არის ხალხი, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური პრინციპები აქვთ... ახალი ვიცე-პრემიერები არ აიღებენ ქრთამს და მერიაში წილების მიღების პირამიდა დაინგრევა,"** – აცხადებს სააკაშვილი, რომელიც თბილისელების წინაშე მთელ პასუხისმგებლობას ვიცე-პრემიერებთან ერთად იზიარებს: **"თუ ისინი ჩაფლავდებიან, მე ვაგებ პასუხს".**


საკრებულოს თავმჯდომარე ამაყობს ვიცე-პრემიერებით

თუმცა, როგორც პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, ქალაქის მართვის სადავეები ხელში ჩაუვარდათ **"ძუნწად მოლაპარაკე და ბევრი საქმის მკეთებელ"** პირებს, რომლებიც "ჩაფლავებას" კი არა და, დედაქალაქის აყვავებას გეგმავენ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვიცე-პრემიერები მათდამი პრესის არაკეთილგანწყობას აპროტესტებდნენ და ერთგვარ თავის მართლებასაც მოჰყვნენ.

**"მე ძალიან მეწყინა ის, რაც ჩვენს შესახებ გაზეთებში დაიწერა... თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებებში აღნიშნეს, რომ ჩვენ მთავრობაში შევარდნაძესთან და სხვა ძალებთან გარკვეული გარიგებების შედეგად მოვედით. სამივე ვიცე-პრემიერი ვაცხადებთ, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ არის შევარდნაძის მიერ დანიშნული და არ არის შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების მიმართ ანგარიშვალდებული,"** – კოლეგების ერთსულოვანი წყენა გამოხატა კახა შენგელიამ.

როგორც გუშინ სააკაშვილმა აღნიშნა, გიორგი კარბელაშვილი, თემურ ქურხული და კახა შენგელია მერიაში **"სუფთა ხელებით მოვიდნენ"** და დედაქალაქისთვის საჭირბოროტო დოკუმენტებსაც **"სუფთა ქაღალდზე"** დაწერენ. ვიცე-პრემიერები ხალხის გულის მონადირებას საქმის კეთებით აპირებენ.

შენგელია და კარბელაშვილი პირობას დებენ, რომ სულ მალე თბილისს განახლების ტალღა გადაუვლის. ქურხული თბილისელებს ტრანსპორტის სფეროში მაფიის დამარცხებას ჰპირდება. ვიცე-პრემიერები დიდი სიხარულით ითანამშრომლებენ არასამთავრობო სექტორთან და პოლიტიკურ ძალებთან.

რაც შეეხება ვანო ზოდელავასთან თანამშრომლობას, ამის შესახებ ვიცე-პრემიერები უფრო ნაკლები ენთუზიაზმით საუბრობენ და თავს ანგარიშვალდებულად მერის წინაშე კი არა, თბილისელების წინაშე გრძნობენ. **"ჩვენ მერთან საქმიანი ურთიერთობები გვექნება; თუმცა, მის პოლიტიკურ შეხედულებებს არ გავიზიარებთ,"** – აცხადებენ ისინი.

თუ ვიცე-პრემიერებისა და საკრებულოს თავმჯდომარის დანაპირები ასრულდა, სამ თვეში არც ერთი თექვსმეტსართულიანი შენობა ულიფტოდ არ იქნება, ექვს თვეში კი ცხრასართულიანი კორპუსების მაცხოვრებლებსაც გაუმართლებთ. სულ მალე შეკეთდება თბილისში ყველა კორპუსის სახურავი, განახლდება და შედარებით გაიაფდება საქალაქო ტრანსპორტი.

**"ჯერჯერობით, ჩვენ ლიფტების, სახურავების და ტრანსპორტის პრობლემებით ვიქნებით დაკავებულნი... მომავალში, თუ მეტი ძალაუფლება გვექნება, ათჯერ მეტს გავაკეთებთ... "** – ასპარეზი არ ჰყოფნის სააკაშვილს, რომელიც ყველანაირად ეცდება, დაამტკიცოს, რომ **"მოლაყბე ოპოზიციის კატეგორიას"** არ მიეკუთვნება.

დედაქალაქის მთავრობის საქმიანობა იმდენად გამჭვირვალე იქნება, რომ თვით ისეთი დელიკატური საკითხის გადაწყვეტისას, როგორიცაა ქალაქის ბიუჯეტი, ვიცე-პრემიერები მოსახლეობის რჩევებს გაითვალისწინებენ. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ამბობს, თითოეული თბილისელი უახლოეს მომავალში მიიღებს წერილს, სადაც ბიუჯეტის შესახებ აზრს დაეკითხებიან.

თბილისის გადახურვას, მეთექვსმეტე სართულამდე მოსახლეობის ლიფტით აცილებას და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების ხორცშესხმას თბილისის მთავრობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციათა მეშვეობით აპირებს. მოლაპარაკებები, მათი თქმით, უკვე დაწყებულია. სააკაშვილი პროტესტს უცხადებს საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს და ამბობს, რომ შეიქმნის სპეციალურ საბჭოებს, რაიონების მიხედვით, რომლებიც ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს საჭიროებისამებრ დახარჯავენ.

მაილსთან დახურულ კარს მიღმა საუბრის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც ჩანს, კიდევ ახალი იდეა გაუჩნდა: იგი, უცხოელ დონორებთან ერთად, საკრებულოს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას დაიწყებს, რომლითაც განისაზღვრება, თუ როგორი იქნება თბილისი 2010 წელს.

და კიდევ ერთი: ვიდრე "ბოროტი ძალები" მერიიდან ჯვრიან დროშას უშედეგოდ ექაჩებიან და მისი კათოლიკური წარმომავლობის მტკიცებით იტკივებენ თავს, ქალაქის საკრებულოს თავკაცს მერიაში კიდევ ერთი დროშა შემოაქვს. ამჯერად მერიაში ამერიკის შეერთებული შტატების ალამი აფრიალდა, ოღონდ მხოლოდ ერთი საათით... დროშა რიჩარდ მაილსის გულის გასახარად დაკიდეს და მალევე ჩამოხსნეს. საკრებულოს თავმჯდომარის ასეთი ჟესტები არ ესწავლება, მითუმეტეს, თუ დროშებისადმი მის კეთილგანწყობასაც გავითვალისწინებთ.

# რელიგიური ექსტრემიზმი - ბარიერი ნატო-სკენ მიმავალ გზაზე

პირველი გვერდიდან

მიიჩნევს, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში შემდეგი ნაბიჯი აფხაზების მიერ ბოდენის დოკუმენტის მიღება უნდა იყოს.

ამჟამად სოხუმში იმყოფება გაერო-ში აშშ-ს ელჩის მოადგილე უილიამსონი და აფხაზეთის ახალ მთავრობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. სოხუმში ჩასვლას იანვარში გეგმავს თავად მაილსიც. მოსკოვში მოლაპარაკებებს მართავს რიჩარდ პერინა, ხოლო გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი, ჰეიდი ტალიავინი ნიუ-იორკში უშიშროების საბჭოს წევრებს ხვდება.

თუმცა, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ამ აქტიურობის მიუხედავად, ჯერჯერობით, შესამჩნევი წინსვლის მიღწევა ვერ ხერხდება.

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე საუბრისას ელჩმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სამხედრო რეფორმა და ეფექტური არმიის შექმნა არ არის საკმარისი. აუცილებელია პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები: **"ქვეყანას, სადაც ბიბლიებს წვავენ და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ურტყამენ, ნატო-ში არავინ მიიღებს".** თანაც, მაილსის თქმით, საქართველოს მიზანი უნდა იყოს ნატო-ს კრიტერიუმების და არა ამერიკის დაკმაყოფილება.


აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი

ელჩმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი მთავრობა, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, მაქსიმალურად ეცდება, ხელი შეუწყოს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას. ამჟამად დღის წესრიგშია ერთიანი, ცენტრალიზებული და კომპიუტერიზებული საარჩევნო სიების შექმნა.

# ბათიაშვილი იცავს სამხედრო უწყების ინტერესებს

პირველი გვერდიდან

აღებით, ხელისუფლება უბრალოდ ვალდებულია, ქვეყნის უშიშროების განსამტკიცებლად იმაზე მეტი სახსრები გაიღოს, ვიდრე დღემდე იმეტებდა. დამატებით არგუმენტად სახელდება ისიც, რომ დაახლოებით ამ მოცულობის ბიუჯეტი სამხედრო უწყებას 1997 წელს უკვე ჰქონდა - ხუთი წლის წინათ თავდაცვის სამინისტრო 79,6 მილიონი დოლარით დაფინანსდა.

**"მთელ პლანეტაზე არ მოიძებნება სხვა სახელმწიფო, რომელიც თავისი უსაფრთხოებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,47 პროცენტს გამოყოფს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ერთ პროცენტს ქვევით არ ჩამოდის, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნებზე, რომლებიც, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამ და მეტ პროცენტსაც კი არ იშურებენ"**, - ასეთი პარალელების გავლებითაც ცდილობს ბათიაშვილი ხელისუფლების დამუნათებას.

როდესაც თავდაცვის სამინისტროს "გულუხვად" დაფინანსებაზე უარს ამბობენ, მთავრობის წევრები და პროსახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები არგუმენტად იმას ასახელებენ, თითქოს, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის გამოყოფილი სახსრები არამიზნობრივად იხარჯება. პასუხად, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, მსგავსი საფრთხის გასანეიტრალებელ საშუალებად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ძალოვან უწყებებზე მონიტორინგის დაწესებასა და განხორციელებას ასახელებს.

არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ნატო-ში" - ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ირაკლი ბათიაშვილმა თავად ძალოვან სტრუქტურებში სერიოზული რეფორმების დაწყების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი. მისი თქმით, პარლამენტში მზადდება საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის (დღეისათვის - 20 ათასი) ოპტიმიზებასა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ გარდაქმნას ითვალისწინებს.

# ბალტიისპირელები ევროპასთან ინტეგრაციაში დაგვეხმარებიან

*დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს სტუმრობს. "24 საათის" ინფორმაციით ვიზიტი საკმაოდ წარმატებული გახლავთ, რაზეც, ის აშკარა ურთიერთგაგებაც მოწმობს, რომლითაც რუსეთთან, ნატო-სთან და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობაში უკვე "გამოცდილი" ბალტიისპირელი პოლიტიკოსები საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელს ხვდებიან.*

9 დეკემბერს ნინო ბურჯანაძე შეხვდა ლატვიის პარლამენტის სპიკერს ინგრიდ უდრეს, ვიცე-სპიკერს ერიკს ეკაბსონს და საგარეო კომიტეტის წევრებს, ლატვიის სახელმწიფო მდივანს მარის რიეკსტინშს, თავდაცვის მინისტრს გირტს-ვალდის კრისტოვსკის.10 დეკემბერს შედგა შეხვედრა ლატვიის პრეზიდენტთან ვაირა-ვიკს ფრეიბერგთან.

შეხვედრებზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გამოცდილება, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მიიღეს, განსაკუთრებით ეს ევროპის კავშირთან ლატვიის წარმატებულ თანამშრომლობას ეხება... მანვე აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ლატვიის მხრიდან ხაზგასმა იმისა, რომ ნატო-ს კარი ღია უნდა იყოს იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც განვითარების დასავლური ორიენტაცია აირჩიეს, საქართველოს ლატვიის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება.

თავდაცვის მინისტრთან შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა ლატვიასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განვითარების დიდ მნიშვნელობას, სადაც მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს თანამშრომლობა სამხედრო-საზღვაო ძალების სრულყოფის დარგში, ლატვიის, როგორც BALTRON-ის ხელმძღვანელი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო გამოცდილების შესწავლა, თანამშრომლობა ნატო-ს მიერ წარმოებულ ერთობლივ საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

**"ლატვია ამ პროცესებში შედარებით სწრაფად მიიწევს წინ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნული პროცესი ლატვიამ უფრო ადრე დაიწყო. ლატვია მხარს დაუჭერს საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც, რადგანაც მას აქვს ის გამოცდილება, რაც საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე გამოადგება,"** - ლატვიის პარლამენტის სპიკერის ეს განცხადება სრულად გამოხატავს იმ განწყობას, რომლითაც საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელს ლატვიაში უმასპინძლეს.

11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ესტონეთს ეწვია. ეს გახლდათ საქართველოს ხელისუფლების პირველი მაღალი დონის ვიზიტი ესტონეთში. ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე საგანგებო საუბრის თემად იქცა ბალტიისპირეთის ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობის გამოცდილება. სპიკერმა ყურადღება გაამახვილა 2002 წლის 14 სექტემბერს ლიტვაში, ქ.პალანგაში ბალტიის სამივე სახელმწიფოს პარლამენტების თავმჯდომარეთა მიერ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაზე, რომლითაც მათ მზადყოფნა გამოხატეს (ბალტიის ასამბლეის გამოცდილებიდან გამომდინარე) - დაეხმარონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაში, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებითაც).

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს სულ უფრო აშკარად იკვეთება ბალტია-შავი ზღვის რეგიონებს შორის პოლიტიკური დიალოგის გაძლიერების ტენდენცია. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველო მიესალმება რეგიონული თანამშრომლობის ამ ახალი ფორმის ჩამოყალიბებას და მიზანშეწონილად მიაჩნია ბალტიის ქვეყნებთან კონსულტაციების გააქტიურება აღნიშნული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.

ესტონეთში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა, აგრეთვე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წარმომადგენლებს, გაიმართა შეხვედრა ესტონეთის პრეზიდენტთან არნოლდ რუიტელთან. შეხვედრის მთავარი თემა, ისევე, როგორც ლატვიაში, ნატო-სთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხები გახლდათ.

გუშინ ნინო ბურჯანაძე ესტონეთის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორსა და საგარეო უწყების წარმომადგენლებს შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ბალტიისპირეთის ქვეყნებში შაბათამდე გასტანს.

*"24 საათი"*

# სწრაფად გაატარეთ რეფორმები, იჩქარეთ - ნელა

*დილეტანტებისა თუ საკითხში ნაკლებად გაცნობიერებულთა მთელი არმია დღეს გულმოდგინედ ცდილობს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების თარიღის გამოცნობას. სახელდება უამრავი ვერსია, ორი-სამი წლიდან დაწყებული და იმ ვარაუდით დამთავრებული, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა ჩვენს ქვეყანას არასოდეს ეღირსება.*

გიორგი ასანიშვილი

**"ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად და წარმატებულად გავატარებთ ნატო-ში გაწევრიანებისთვის აუცილებელი სტანდარტების მისაღწევად საჭირო რეფორმებს. ნატო ხომ სამხედრო ხასიათის გარდა, ამავე დროს, პოლიტიკური ფუნქციების მატარებელი ორგანიზაციაა. ამიტომ, ქვეყანაში რეფორმები აუცილებელია, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კუთხით, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში"**, - განმარტავს საქართველოს წარმომადგენელი ნატო-ში დავით დონდუა, რომელიც თავის "გაეროელ" კოლეგასთან, რეზო ადამიასთან ერთად, დღეს პარლამენტშია მიწვეული.

როგორც ცნობილია, ნატო-ს პრაღის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, 2004 წლისთვის სტრუქტურულად ჩამოყალიბდება, ხოლო 2006 წლიდან ამოქმედდება ალიანსის სწრაფი რეაგირების 20000-კაციანი სამხედრო შენაერთი, რომელიც საბრძოლო ოპერაციებს მსოფლიოს ყველა წერტილში განახორციელებს.

ნატო-ს შტაბ-ბინაში ამჟამად მუშავდება პროგრამა, რომელიც პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს. ეს სამუშაო 2003 წლის იანვრის შუა რიცხვებში დასრულდება და იანვრის ბოლოსთვის დაიწყება ამ პროგრამის ფარგლებში კონკრეტულად საქართველოსთვის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავება. ერთი სიტყვით, პასუხი კითხვაზე, როდის გაწევრიანდება საქართველო ნატო-ში, შეიძლება ითქვას, რომ ასე თუ ისე, მაინც არსებობს და მას თავად ატლანტიკური ალიანსი იძლევა. იგი დაახლოებით, ასე ჟღერს - სწრაფად გაატარეთ რეფორმები და იჩქარეთ ნელა.



## ფრანგული რაკეტის კოსმოსში გაშვება კრახით დასრულდა

ახალი მოდელის ფრანგული რაკეტის "არიან 5"-ის კოსმოსში გაშვების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. გაშვებიდან სამი წუთის შემდეგ რაკეტის მთავარმა ძრავამ მუშაობა შეწყვიტა, რის შედეგადაც "არიან 5" და მის ბორტზე მყოფი ორი თანამგზავრი ჰაერშივე აფეთქდა. რაკეტის ნამსხვრევები კი ატლანტის ოკეანეში ჩავარდა. რაკეტა საფრანგეთის გვიანაზე განთავსებული კოსმოდრომიდან გაუშვეს.

როგორც ცნობილი გახდა, ფრანგმა ინჟინრებმა "არიან 5"-ის ძველი მოდელის მოდიფიცირებას დიდი დრო და ენერგია დაუთმეს. მათ მიზანს რაკეტმზიდის ტვირთამწეობის მნიშვნელოვანი გაზრდა წარმოადგენდა. ამისათვის, ინჟინრებმა რაკეტმზიდის ყველა ძრავის მოდიფიცირება მოახდინეს.

უნდა აღინიშნოს, რომ "არიან 5"-ის ამ განახლებული მოდელის გაშვებას საფრანგეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ორბიტაზე 10-ტონიანი მოცულობის ორი თანამგზავრი უნდა გაეყვანა, ხოლო მომავალში კიდევ სამი თანამგზავრის განთავსება იგეგმებოდა. ამ პროექტით, ორბიტაზე კოსმოსური თანამგზავრების განლაგების ღირებულება საფრანგეთისათვის მკვეთრად დაიკლებდა და მძიმე რაკეტების ბაზარზე არსებული რთული კონკურენციის პირობებში საფრანგეთის პოზიციებს მკვეთრად გააუმჯობესებდა. თუმცა, ყველაფერი დაგეგმილი სცენარით არ წარიმართა.

"არიან 5"-ის მარცხის შედეგად საფრანგეთმა 600 მილიონი ამერიკული დოლარით იზარალა. წინასწარი მონაცემებით, წარუმატებლობის მიზეზად რაკეტის სიჩქარეების ვადაზე ადრე გამორთვა სახელდება.

თანამგზავრის მფლობელი კონცერნის გენერალურმა დირექტორმა ჟან-ივ ლე გალმა მომხდარს "სერიოზული მარცხის" კვალიფიკაცია მისცა.

უნდა ითქვას, რომ ეს წელს ორბიტაზე ახალი მძიმე რაკეტის გაყვანის წარუმატებელი მცდელობის მეორე შემთხვევა იყო. პირველი ა.წ. 28 ნოემბერს ტექნიკური შეუთავსებლობის გამო ჩაიშალა. საერთო ჯამში კი, "არიან 5"-მა სულ ოთხი ავარია განიცადა.



## ამერიკელთა მტკიცებით, ერაყმა „ალ-ქაიდას" ქიმიური იარაღი მიჰყიდა

აშშ-ს ადმინისტრაციამ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნოემბერში "ალ-ქაიდას" საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან დაკავშირებულმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა ერაყიდან ქიმიური იარაღის დიდი პარტია გაიტანეს. ადმინისტრაციის ორმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საუბარი შეეხება ნერვული სისტემის მაპარალიზებელ გაზს - VX-ს, რომელიც კურიერმა თურქეთის გავლით გაიტანა. ამის შესახებ ამერიკული გაზეთის "ვაშინგტონ პოსტის" გუშინდელი გამოშვება იუწყება. გაზეთის აზრით, თუ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია, ეს პირველად დაადასტურებს "ალ-ქაიდას" წევრების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის შესყიდვის ფაქტს. გარდა ამისა, ამ ინფორმაციით მართლდება აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყი აკრძალული იარაღით საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს ეხმარება.

ამ თვალსაზრისით, ზემოაღნიშნულმა ინფორმაციამ, დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა, საფუძველი გამოაცალოს ჰუსეინის ხელისუფლების მტკიცებას იმის შესახებ, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ იწარმოება.

ანალიტიკოსების განცხადებით, აშშ-ს ადმინისტრაცია, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ შეძლებს დაამტკიცოს ამ გარიგებაში სადამ ჰუსეინის მონაწილეობა. ეს მხოლოდ ვარაუდის და ეჭვის დონეზე დარჩება, რადგან ერაყში არსებული ყველა საიდუმლო სამხედრო პროგრამა სპეცსამსახურების მიერ მკაცრად კონტროლდება, ხოლო სპეცსამსახურებს კი სადამ ჰუსეინის შვილი უდგას სათავეში.

"ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ინფორმაცია ქიმიური იარაღის "ალ-ქაიდასათვის" მიყიდვის შესახებ, ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ აგენტურული საშუალებებით მოიპოვა. **"ჩვენ ამ მონაცემების სიზუსტეში დარწმუნებულები ვართ,"** - განაცხადა სადაზვერვო სააგენტოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად მოხვდა ერაყიდან გატანილი ქიმიური იარაღი. იგივე სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ქიმიური იარაღის პარტია ევროპის ან ამერიკის ტერიტორიაზე შეიტანეს.

"ვაშინგტონ პოსტი" ამასთან დაკავშირებით გასულ კვირას აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ გაკეთებულ გაფრთხილებასაც იხსენებს, რომლის თანახმად "ალ-ქაიდამ", შესაძლოა, თურქეთის სამხედრო ბაზა "ინჯირლიკზე" ტერორისტული აქცია ქიმიური იარაღის გამოყენებით განახორციელოს. თურქეთის საერთაშორისო ტერორიზმის სამიზნედ გადაქცევას "ალ-ქაიდასთვის" ლოგიკური მიზეზი აქვს – თურქეთმა აშშ-ს ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისათვის საკუთარი სამხედრო ბაზების და ტერიტორიის გამოყენების ნება დართო.

## ჰუსეინი ლუკოილს ერაყიდან აძევებს

გუშინ ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ წყვეტს კონტრაქტს რუსულ ნავთობკომპანია "ლუკოილთან". ხელშეკრულების თანახმად, სწორედ რუსულ კომპანიას უნდა აეთვისებინა ერაყის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობსაბადო "დასავლეთ ყურნა". სააგენტო როიტერის ცნობით, კონტრაქტის ღირებულება 3,7 მილიარდი დოლარია, სავარაუდო შემოსავალი კი - 20 მილიარდი დოლარი.

შეტყობინება კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე "ლუკოილის" პრეზიდენტმა ალეკპეროვმა გუშინ, ერაყის ნავთობის მინისტრის მოადგილისაგან მიიღო. ხელშეკრულების დარღვევის მიზეზად დასახელებულია ის, რომ 1997 წელს, კონტრაქტის დადების შემდეგ, "ლუკოილს" არ დაუწყვია საბადოს ათვისება. რუსულ კომპანიას გაეროს სანქციების გამო, არც ჰქონდა ამის უფლება. მაგრამ ერაყი სწორედ იმიტომ აძლევდა რუსულ კომპანიებს მომგებიან კონტრაქტებს, რომ იმედი ჰქონდა, რუსები სანქციების მიუხედავად, მაინც დაიწყებდნენ მუშაობას.

ამ გადაწყვეტილების კომენტირებისას, ყველა მიმომხილველი აცხადებს, რომ ეს იყო რუსეთისათვის "სილის გაწვნა". რუსეთი დღემდე უშიშროების საბჭოში ერაყის მთავარ მოკავშირედ მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, ერაყელებმა მიიჩნიეს, რომ მოსკოვი ბევრს არაფერს აკეთებს ამერიკის მხრიდან ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასარიდებლად.

არ არის გამორიცხული, რომელიმე სხვა კომპანიამ, უბრალოდ, მოისყიდა ერაყის მთავრობა, იმ იმედით, რომ რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, ახალი ხელისუფლება ძველ კონტრაქტებს არ დაარღვევს. შეიძლება, ჰუსეინს იმედი აქვს, რომ ამგვარი ნაბიჯებით იგი შეძლებს უშიშროების საბჭოში მიღწეული თანხმობის დარღვევას. ბევრმა ქვეყანამ ხომ იმიტომ დაუჭირა ამერიკელებს მხარი, რომ მათგან გარანტია მიიღო, რომ ახალი მთავრობა ძველ კონტრაქტებს არ დაარღვევდა. ახლა კი ძველ კონტრაქტებს სადამ ჰუსეინი თავად არღვევს.

უთანხმოების ჩამოგდებას ერაყი სხვაგვარადაც ცდილობს. ამას წინათ, მან გაერო-ს გადასცა იმ ქვეყნების სია, რომელიც მას სანქციების გვერდის ავლით, იარაღის შეძენაში ეხმარებოდა.

ერთი სიტყვით, ერაყის ხელისუფლება ყველანაირ ხერხს მიმართავს, რათა გარდაუვალი ომი როგორმე თავიდან აიცილოს. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ეს აღმოსავლური ეშმაკობა.

## პოლიციელებით გარშემორტყმული კოპენჰაგენი ევროკავშირის სამიტს მასპინძლობს

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ევროკავშირის სამიტი გაიხსნა, რომელმაც გაფართოების საკითხები, კვიპროსის პრობლემა და ევროკავშირში შესვლის შესახებ თურქეთის განაცხადი უნდა განიხილოს. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ სამიტის დაწყებამდე განაცხადა, რომ ევროკავშირი ახლოსაა კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებასთან. როგორც ცნობილია, კვიპროსი იმ 10 ქვეყნის სიაშია, რომლებმაც მალე უნდა შეაღონ ევროკავშირის კარები. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კვიპროსის ბერძნული და თურქული მხარეები მათთვის წარდგენილ გეგმას კონფლიქტის დარეგულირების შესახებ უპირობოდ მიიღებენ. გარდა ამისა, დამკვირვებელთა დიდ ყურადღებას თურქეთის საკითხის განხილვაც იმსახურებს. ოფიციალური ანკარა ევროპისგან ელის ზუსტ პასუხს კითხვაზე – როდის დაიწყება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი? და ბოლოს, ქალაქში ანტიგლობალისტთა დემონსტრაციებს ელიან.*



*სამიტისი, ერდოქანი და გული სამიტზე*

თურქეთის საკითხთან დაკავშირებით, შეერთებულმა შტატებმა ევროკავშირის ლიდერებს ოფიციალური წერილით მიმართა და სთხოვა, რომ სამიტმა დაადგინოს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურის დაწყების ზუსტი თარიღი, იმ შემთხვევაშიც, თუ თურქეთში რეფორმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დასრულებული არ იქნა. შეერთებული შტატების კონფიდენციალურ წერილს, რომელიც ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარს კრისტოფერ პატენს გაეგზავნა, ხელს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი აწერს. ამის შესახებ გაზეთი "ფაინენშალ თაიმსი" იუწყება. კოლინ პაუელი თავის ევროპელ კოლეგას თურქეთთან მიმართებაში "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" შერბილებას სთხოვს. როგორც ცნობილია, ეს კრიტერიუმები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ არის შემუშავებული და გაერთიანებაში შესვლის მსურველი ქვეყნისათვის აუცილებლად შესასრულებელ პირობას წარმოადგენს. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ადამიანის უფლებათა დაცვაა, რაც თავის მხრივ ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების უზრუნველყოფას, წამების აკრძალვას და პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროთა ჩარევის სრულ აღმოფხვრას მოითხოვს.

კოლინ პაუელის წერილმა ევროპაში უკვე ჰპოვა გამოხმაურება და არც თუ დადებითი. ევროკავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დიპლომატმა გააკრიტიკა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ოფიციალური მიმართვა და მას ევროკავშირზე ზეწოლაც კი უწოდა. **"ზოგჯერ ვაშინგტონის აზროვნება დიდ გაკვირვებას იწვევს, რადგანაც ის ფიქრობს, რომ ევროკავშირი მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციაა, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე,"**- განაცხადა მან.

უნდა ითქვას, რომ კოლინ პაუელის წერილს წინ უსწრებდა თავად აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის, დანიის პრემიერ-მინისტრისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარის, ანდერს ფოგ რასმუსენის სატელეფონო დიალოგი, რომელიც თეთრი სახლის მეთაურის ინიციატივით შედგა. პრეზიდენტმა ბუშმა რასმუსენს პირდაპირ სთხოვა, რომ ევროკავშირის სამიტს თურქეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი განეხილა. "ფაინენშალ თაიმსის" ცნობით კი, რასმუსენმა ამერიკის პრეზიდენტს მკაფიოდ განუცხადა, რომ ის ევროკავშირის წესებში ვერ ჩაერეოდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებით აშშ-ს დაინტერესებას სავსებით ნათელი და პრაგმატული მიზეზი აქვს. ვაშინგტონის პოლიტიკა ამ საკითხში კვლავ ერაყის პრობლემატიკით არის ნაკარნახევი. თეთრ სახლს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის დახმარება ჰაერივით სჭირდება, რის სანაცვლოდაც ანკარა ვაშინგტონს ევროკავშირთან შუამავლობას სთხოვს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი წამყვანი ქვეყნები - საფრანგეთი და გერმანია მხარს უჭერენ ორგანიზაციაში თურქეთის გაწევრიანების პროცედურის დაწყების განხილვას, იმ შემთხვევაში, თუ 2004 წლისათვის თურქეთი შეძლებს "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" შესრულებას და ამის შესახებ დასკვნას ევროკომისია წარადგენს. პარიზი და ბერლინი ევროპულ ოჯახში ამ ეტაპზე თურქეთის შესვლის წინააღმდეგ გამოდიან. ანკარამ ქვეყანაში ძირეული რეფორმები უნდა განახორციელოს. **"კრიტერიუმები მთლიანად უნდა შესრულდეს,"** - განაცხადა საფრანგეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა.

თურქეთის და კვიპროსის საკითხების გადაწყვეტის გარდა, კოპენჰაგენის სამიტი ათი ახალი კანდიდატი ქვეყნის გაწევრიანების თარიღსაც დაასახელებს. მოხვდება თუ არა ამ სიაში თურქეთი და დათმობს თუ არა ევროპა აშშ-ს გამო თავის პოზიციებს, ამასაც კოპენჰაგენის სამიტი გადაწყვეტს.

მანამდე კი, კოპენჰაგენი ისტორიულ მოვლენას უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებით ხვდება. დანიის ხელისუფლების შეშფოთებას საერთაშორისო ტერორისტებთან ერთად ევროპაში გაძლიერებული ანტიგლობალისტების გააქტიურებაც იწვევს. გუშინ დილიდანვე კოპეჰაგენის ქუჩებში გლობალიზაციის ათასობით მოწინააღმდეგე გამოვიდა. დანიის მთავრობამ ქვეყნის სამართალდამცავთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის მობილიზაცია მოახდინა. ქალაქის ადმინისტრაციამ კი მოსახლეობას სახლში დარჩენა ურჩია და ბავშვების ქუჩებში გამოყვანისგან თავის შეკავება სთხოვა. ევროკავშირის სამიტი და მოსალოდნელი მღელვარება მაღაზიის მფლობელთა განსაკუთრებულ შიშს იწვევს. მათ კარგად ახსოვთ 1993 წლის მოვლენები, როდესაც ანტიგლობალისტებმა კოპენჰაგენის მაღაზიები და სხვა სავაჭრო ადგილები დაარბიეს, რის შედეგადაც პოლიციასთან შეტაკებისას 11 დემონსტრანტი დაილუპა. **"თუ ვითარება გართულდება, პოლიცია სიტუაციის გაკონტროლებას ვერ შეძლებს,"**- დარწმუნებით განაცხადა ერთ-ერთმა მოვაჭრემ. დანიის საიდუმლო პოლიციის შეფის - ლარს ფინდსენის თქმით, სამართალდამცავები კონფრონტაციის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოპენჰაგენში გერმანიიდან, იტალიიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან ჩამოსულმა ათასობით ევროკავშირის მოწინააღმდეგემ და ანტიგლობალისტმა მოიყარა თავი.

თუმცა, ამ საფრთხის მიუხედავად, კოპენჰაგენში ევროკავშირის სამიტი მაინც გაიხსნა. ის თავისი მნიშვნელობით უდავოდ ისტორიული შეკრება იქნება, რადგან ევროპის ლიდერებმა მათ წინაშე დასმულ ბევრ შეკითხვას უნდა გასცენ პასუხი. ერთი რამე კი უდავოა – ევროპის გაფართოების პროცესი შეუქცევად და ინტენსიურ ხასიათს იძენს. სამიტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კი, დღეს გახდება ცნობილი.

## საქართველოს მთავრობის ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები

პირველი გვერდიდან

ბოდენის დოკუმენტი, ექსპერტების აზრით, დღეს აფხაზებსა და რუსებზე ზეწოლის ერთადერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია. რაკი საქართველო მას მხარს უჭერს, აფხაზეთი კი - არ იღებს, სოხუმის ხელისუფლება ავტომატურად ხდება საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის ობიექტი.

ექსპერტების მტკიცებით, ბოდენის დოკუმენტს ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, ორი მხრიდან ემუქრება საფრთხე. ჯერ ერთი, როგორც ამბობენ, რუსეთი სულ უფრო ნაკლებად უჭერს მას მხარს. მოსკოვი სისტემატურად ბლოკავს დოკუმენტის განხილვას უშიშროების საბჭოზე. ამავე დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშინინი, რომელიც პრეზიდენტმა პუტინმა მარტში აფხაზეთის საკითხებში თავის პირად წარმომადგენლად დანიშნა აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ასლან აბაშიძის სამშვიდობო გეგმას, რომელიც აქცენტს აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებასა და ნდობის აღდგენის ღონისძიებებზე აკეთებს. გეგმის ერთ-ერთი მთავარი დეტალი სოხუმის რუსეთი-საქართველო-სომხეთის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაა.

ლოშინინმა ბოლო დროს ეს გეგმა რამდენჯერმე განიხილა ჯერგენიასთან. გარდა ამისა, რუსი დიპლომატი დაეთანხმა ჯერგენიას წინადადებას, რომ აფხაზურ მხარეს მონაწილეობა მიეღო უშიშროების საბჭოში მიმდინარე განხილვებში. თუმცა, 29 ნოემბერს, ჯერგენია, მოულოდნელად გაათავისუფლეს. მისი დათხოვნის რეალური მიზეზი ჯერაც უცნობია.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯერგენიას დათხოვნის მიზეზი საქართველოსთან კომპრომისზე წასვლის სურვილი ყოფილიყო. საერთოდ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, რომლისთვისაც არალეგალური ბიზნესი და რუსეთთან ვაჭრობა შემოსავლის მთავარი წყაროა, რუსეთთან კავშირის გაწყვეტაზე დათანხმდეს. თანაც, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ბათილად მიიჩნევს აფხაზების მიერ რუსებთან და სხვებთან დადებულ კომერციულ ხელშეკრულებებს.

ამასობაში, დიპლომატები ამბობენ, რომ ბოდენის დოკუმენტი შეიძლება მოძველდეს და გაერო-ს მხარდაჭერა დაკარგოს. თუმცა, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰეიდი ტალიავინი. როგორც მან რადიო "თავისუფლებას" განუცხადა: "ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეტაპზე დოკუმენტის არმიღება იმას ნიშნავს, რომ გაერო ოდესღაც მას დაივიწყებს და აფხაზებიც დამოუკიდებლობას მიიღებენ".

ქართველი დიპლომატები ამბობენ, რომ ისინი თანახმა არიან ეკონომიკურ აღორძინებასა და ნდობის აღდგენის ღონისძიებებზე, მაგრამ აცხადებენ, რომ ჯერ პოლიტიკური გადაწყვეტის გზაზე უნდა გადაიდგას რეალური ნაბიჯები.

უპასუხოდ რჩება ერთი კითხვა. როგორ შეიძლება საქართველო ჩაერთოს აფხაზეთის ეკონომიკური აღდგენის ღონისძიებებში, თუ იგი კანონგარეშე მიიჩნევს სეპარატისტულ რეგიონში ბოლო ათი წლის განმავლობაში მომხდარ ეკონომიკური შინაარსის გარიგებებს?

ქართული დიპლომატია, უნდა ითქვას, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანას ერთდროულად ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია უკავია. საქართველოს პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ასლან აბაშიძე რკინიგზის გახსნის გეგმას უჭერს მხარს, მეორე მხრივ, ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ მოლაპარაკებები ბოდენის დოკუმენტის საფუძველზე უნდა წარიმართოს. ეს არასერიოზული მიდგომაა.

მეორეც, სანამ რუსები ორწლიანი ზეწოლის შემდეგ ბოდენის დოკუმენტს მიიღებდნენ, მოსკოვი მხარს უჭერდა "მეგობართა ჯგუფის" მიერ შეთანხმების რამდენიმე ვარიანტის შემუშავებას. სამშვიდობო პროცესის ჩიხში შესაყვანად ეს იდეალური გზა იქნებოდა. ქართველები დაუჭერდნენ მხარს ერთ ვერსიას, აფხაზები – მეორეს. ორივე ვერსიას თანაბარი საერთაშორისო წონა ექნებოდა. ამიტომ, რომელიმე მხარის იძულება, დათმობაზე წასულიყო, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდებოდა.

ახლა კი, როგორც ჩანს, ალტერნატიული დოკუმენტი მაინც გაჩნდა, თანაც საქართველოს მხრიდან, ვისაც ამის გაკეთება, წესით, ყველაზე ნაკლებად უნდა აძლევდეს ხელს. აბაშიძის გეგმა (მას უფრო ადრე ჯერ ბერეზოვსკის, შემდეგ კი ლოშინინის გეგმასაც უწოდებდნენ) სამშვიდობო პროცესს ბუნდოვანს ხდის და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველომ თვითონ არ იცის, რა უნდა. ასეთ ვითარებაში კი საქართველო ვერც აფხაზებს დაადანაშაულებს სამშვიდობო პროცესის ბლოკირების მცდელობაში და ვერც რუსებს.

ამგვარ ფონზე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქართული დიპლომატია ნელ-ნელა პოზიციებს თმობს, და არა მხოლოდ აფხაზეთის საკითხში. ვითარება უარესდება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებითაც, რისი ნათელი დადასტურებაც იყო ეუთო-ს პორტოს მინისტერიალი. ამ წარუმატებლობებს კი, საკუთარი თავის გარდა, ნამდვილად ვერავის დავაბრალებთ.

## ჩეჩნეთში რეფერენდუმი მზადდება

რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ბრძანება, რომელიც ჩეჩნეთის საარჩევნო კომისიის თხოვნის საპასუხოდ გამოიცა, ჩეჩნეთის ხელისუფლებას რეფერენდუმისათვის მომზადებას ავალებს, თუმცა მისი ჩატარების თარიღს არ ადგენს.

პრო-რუსულად განწყობილ ჩეჩნებს რეფერენდუმის ჩატარება, რომელზეც რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა იქნეს მიღებული, მარტში ან აპრილში სურთ. პრეზიდენტს ამ თხოვნით, ჯერ კიდევ ნოემბერში მოსკოვში გამართულმა ჩეჩნურმა ყრილობამ მიმართა. რამდენიმე დღის წინ, იგივე თხოვნა გაიმეორა ყადიროვის ინიციატივით გუდერმესში გამართულმა "ჩეჩენი ხალხის ყრილობამ".

კონსტიტუციის მიღებას, წესით, ახალი ხელისუფლებლის შექმნა და არჩევნების ჩატარება უნდა მოჰყვეს. ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატი თავად ყადიროვი იქნება.

ამბოხებულები რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებას, ბუნებრივია, არ აპირებენ. ის კი არა, რუს მემარჯვენეთა ლიდერმა, ნემცოვმაც რეფერენდუმს "სრული ფარსი" უწოდა.

როგორც ამბობენ, ჩეჩნეთში სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენის წინააღმდეგი არიან ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსი სამხედროებიც.

# ი ყ ა ვ ი თ ს ა ზ ე ზ ე !

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფიუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;

- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

## დავით აღმაშენებელმა დააარსა თბილისი?




კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და პირველი არხი), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთების ("24 საათი" და "ალია") საშუალებით.

- რაც მეტჯერ დაადასტურებთ ტელეფონის ზარით თქვენს სწორ პასუხს, მით მეტია მოგების შანსი.
- 7 დეკემბრიდან 18 იანვრის ჩათვლით ყოველ შაბათს 19:30 წთ-დან "რუსთავი 2"ის პირდაპირ ეთერში შედგება ნომრების ლოტოტრონში გათამაშება. ლოტოტრონში მოხვდება იმ აბონენთტა ნომრები, რომელთაც ზემოთ მოცემული წესით დაარეგისტრირეს სწორი პასუხი.
- ყოველკვირეულად დასაჩუქრდება 15 იღბლიანი აბონენტი. პირველი გათამაშების დღეს (14 დეკემბერი) ჯეოსელის პრიზების მოგების შანსი ეძლევათ იმ აბონენტებს, რომელთა სწორი პასუხი დარეგისტრირდება 7 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით. მეორე გათამაშებაში (21 დეკემბერი) მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც სწორ პასუხს დაარეგისტრირებენ 14 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით და ა.შ.
- დასაჩუქრებაში მონაწილეობის მისაღებად მობილური ტელეფონი ჩართული უნდა იყოს!
- თუ ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომერთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება, პრიზი ხელმეორედ გადათამაშდება
- პრიზი გადაეცემა იღბლიანი სიმ-ბარათის წარმომდგენს.
- დასაჩუქრებულ აბონენტს, სურვილისამებრ. საჩუქრის შესაბამისი ფულადი თანხა არ გადაეცემა.
- ჯეოსელის ვიქტორინაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანამშრომლებს, დილერებს, დისტრიბუტორებს და მათი ოჯახის წევრებს.
- პრიზების გადაცემა მოხდება ყოველი გათამაშების დღიდან არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

**ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს! დარჩით ჯეოსელთან და თქვენ უთუოდ გაგიღიმებთ ფორტუნა.**

# ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 770 100

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

# გაზსადენის მშენებლობის ნებართვა 15 დეკემბრამდე გაიცემა

ნინო ნარჩემაშვილი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებული ბატალიების შემდეგ, შაჰ-დენიზის გაზსადენის პროექტის ჯერიც დადგა. ეს მილსადენიც საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის იმავე მარშრუტს გაივლის, რასაც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი. არსებითად, ეს საკითხი საქართველოს პარლამენტმა იმთავითვე დაამტკიცა. გარემოს დაცვის სამინისტრომ გარემოსდაცვით ნებართვას, ხელშეკრულების მიხედვით, 15 დეკემბრამდე უნდა მოაწეროს ხელი.

სამინისტროში აცხადებენ, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გასაცემი ნებართვის სავალდებულო პირობებზე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნების შემდეგ გახდება შესაძლებელი. სამინისტროში აცხადებენ, რომ ისევე, როგორც ნავთობსადენის შემთხვევაში, გაზსადენის ხელშეკრულების განხილვისას კომპანია "ბი-პიმ" ბორჯომის რაიონის გარემოზე მილსადენის ზემოქმედების შეფასების ძირითად პროექტთან ერთად უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ორი ალტერნატიული ვარიანტი.

კომპანია "ბი-პი"-ში გაზსადენის შესახებ კომენტარისგან თავს იკავებენ და მხოლოდ აცხადებენ, რომ კომპანიამ უკვე მიიღო გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტების კომენტარები, რომელთა განხილვაც ამჟამად მიმდინარეობს.

**კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

**უსაფრთხოების ოფიცერი**
**საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი**
**საველე ინჟინერი**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის ინჟინერი**
**მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი**

უსაფრთხოების ინჟინერი: პასუხისმგებელია მილსადენის მშენებლობის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მონიტორინგსა და "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვაზე. მის მოვალეობაში შედის რჩევის გაცემა და უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში საქმიანობის უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად. უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობები გათვალისწინებულია მშენებლობის ობიექტებზე, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და პორტის/მასალების მართვის სფეროში.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, უსაფრთხოების სფეროში, სასურველია სამშენებლო ობიექტზე, სატრანსპორტო საშუალებებზე ან პორტის/მასალების მართვის სფეროში მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი.

საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი: პასუხისმგებელია სამუშაოების ზედამხედველობაზე გარემოსდაცვითი კუთხით. მის მოვალეობაში შედის მილსადენის მარშრუტის რომელიმე კონკრეტულ უბანზე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სამეცნიერო ან საინჟინრო დარგში.

საველე ინჟინერი: პასუხისმგებელია ველზე და ოფისში მომუშავე საინჟინრო ჯგუფების საქმიანობის კოორდინირებასა და ხელშეწყობაზე, სამშენებლო და ტექნიკური პროცედურების დაცვის შემოწმების უზრუნველყოფაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მილსადენის ან მილსადენის ობიექტზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო დარგში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი: პასუხისმგებელია პროექტის ჯგუფისთვის პროექტის სოციალური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებაზე, რომელიც გარეშე აუდიტორიისთვის არის გამიზნული. ასევე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმების განხორციელებაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური კანონმდებლობის დარგში მუშაობის გამოცდილება. სასურველია გამოცდილება ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი: პასუხისმგებელია მშენებლობის დროს, კერძოდ მილების გაყვანის და მილსადენის მშენებლობის "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის მონიტორინგზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის ობიექტზე მუშაობის დიდი გამოცდილება. აუცილებელია გამოცდილება გზების მშენებლობასა და ეროზიის კონტროლის სფეროში. უმაღლესი სასწავლების დიპლომი ტექნიკურ დარგში.

**ყველა ზემოაღნიშნული თანამდებობისთვის სამუშაოს დეტალური აღწერის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.**

**განახცადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით რომ გაგაჩნიათ საჭირო კლასიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curruculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2002 წლის 23 დეკემბერი, პარასკევი, საღამოს 18:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება. გასაუბრებაზე დაბარებული ყველა კანდიდატს დავუკავშირდებით არაუგვიანეს პარასკევისა, 2002 წლის 27 დეკემბერს.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი" საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6342 | 0.6432 | 0.0052 |
| US$ | 1.5768 | | 1.0148 | 0.0081 |
| €uro | 1.5543 | 0.9855 | | 0.008 |
| ¥en | 193.72 | 122.86 | 124.64 | |

## 2002 წლის 13 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1857 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4055 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4822 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1600 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3776 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1752 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0678 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4413 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3680 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0510 | ლარი |

# სემეკი ზედმეტად მიაჩნიათ

პირველი გვერდიდან

ორივე მხარემ ტექნიკური უნივერსიტეტიდან მოწვეული სპეციალისტების დასკვნა ზედმეტად თეორიულად მიიჩნია. **"მას არ ახლავს სამართლებრივი შეფასება"**, - აღნიშნა "ლეიბორისტული" პარტიის წარმომადგენელმა ბადრი ნიაურმა.

ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკული ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის წევრმა, ნანა სამსონიამ ტარიფის გაზრდა უკანონოდ მიიჩნია, რადგან **""ეი-ი-ეს თელასმა" ტარიფის მომატებისას საერთოდ არ გაითვალისწინა აბონენტების სამომხმარებლო კალათა და ინფლაციის პროცენტული მაჩვენებელიც ტარიფში ხელოვნურად გაზარდა"**. ნანა სამსონიას თქმით, თავის ფუნქციებს ვერც ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ გაართვა თავი. ამიტომ იგი სასურველად მიიჩნევს "ეი-ი-ეს თელასის" საქმიანობის კონტროლის პროცესში ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩართვას. **"სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ისეთი ფასის დამტკიცება, რომელსაც მოსახლეობა ვერ გადაიხდის"**, - განაცხადა ნანა სამსონიამ.



ლეიბორისტებიც და "ეი-ი-ეს" თელასიც "სემეკით" უკმაყოფილოები არიან

ლეიბორისტი ბადრი ნიაურის თქმით, სემეკს უფლება აქვს მხოლოდ გადახედოს ტარიფს. **"ლადო პაპავამაც კი დაადასტურა, რომ ამ უწყების შექმნა არ იყო საჭირო. ენერგეტიკის სექტორში სახელისუფლებო კონტროლის განსახორციელებლად კი სავსებით საკმარისი იქნებოდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, კონტროლის პალატა და ანტიმონოპოლიური სამსახური"**, - განაცხადა "ლეიბორისტული" პარტიის წარმომადგენელმა.

გუშინ სასამართლო სხდომაზე ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრის წევრის, გურამ მახარაძის დასკვნაც განიხილეს. მახარაძემ საქართველოს ენერგეტიკის პრობლემების მიზეზად ამ სექტორში არსებული ცალკეული სისტემების, ფაქტობრივად, სხვადასხვა მმართველებზე დაქვემდებარება დაასახელა. მახარაძის ეს მოსაზრება არ გაიზიარეს მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა. ერთი შეხედვით, გამართული მმართველობითი სქემის არსებობა მახარაძემაც აღიარა, მაგრამ იქვე ისიც აღნიშნა, რომ ყველა მიღებული შედეგი სისტემის ერთიანობის უქონლობაზე მიუთითებს.

# GG&MW „ბორჯომის" ბიზნესის დატოვებას აპირებს

*"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" (GG&MW) მამუკა ხაზარაძის გამაფრთხილებელ განცხადებას, რომელიც "ბორჯომის" ბიზნესის დატოვებას შეეხებოდა, რეალურად განხორციელებადს უწოდებს. GG&MW-ის წარმომადგენელთა თქმით, მათ წინააღმდეგ მიმართული შვიდწლიანი კამპანია უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება და კომპანიას იძულებულს ხდის, "ბორჯომის" ბიზნესიდან გასვლაზე იფიქროს. თუ მოვლენების განვითარება მათ ამ ნაბიჯს გადაადგმევინებს, კომპანია განხორციელებული ინვესტიციებისა და, მთლიანად, ზარალის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან მოითხოვს.*

გვანცა კვინიკაძე

GG&MW-ს ხელმძღვანელისთვის აღნიშნული განცხადების გასაკეთებლად "ბოლო წვეთი" პარლამენტში გამართული საკომიტეტო მოსმენა გახდა, რომელზეც ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ნოდარ გრიგალაშვილმა პარლამენტს "წიაღისეულის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა შესთავაზა. ეს ცვლილებები გენერალური ლიცენზიის მფლობელ GG&MW-თან ბორჯომის წვრილი მეწარმეების გათანაბრებას გულისხმობს. GG&MW-ის ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე მისი კომპანიის წინააღმდეგ შეტევის მორიგი რაუნდის დაწყებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ღია კრიტიკას უკავშირებს: **"ამ შემთხვევაში, ბიზნესი და პოლიტიკა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. მხოლოდ ბიზნესის პრობლემა რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, იგი უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა, რადგან ბიზნესმენები ყოველთვის შეძლებენ მოლაპარაკებას"**, - განაცხადა ჯაფარიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ GG&MW-ს ხელმძღვანელობა პარლამენტში არსებული "ნორმალურად" მოაზროვნე ძალების მხარდაჭერის იმედი აქვს, იგი მოვლენების არასასურველ განვითარებას მაინც არ გამორიცხავს. ასეთ შემთხვევაში, GG&MW მხოლოდ ერთ გზას ხედავს: იგი მიყენებული ზარალისა და განხორციელებული ინვესტიციების ანაზღაურებას აგორებული კამპანიის უკან მდგომი ძალებისგან, ან სახელმწიფოსგან მოითხოვს. თუმცა, შექმნილ სიტუაციაში მთავარ დამნაშავედ კომპანია მაინც სახელმწიფოს მიიჩნევს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომპანიას ხელის შეწყობის ნაცვლად, ყველანაირად აბრკოლებს.

ამ პროცესში GG&MW-ს თავისი მეწილეების – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერის იმედიც აქვს. ჯაფარიძის განცხადებით, ჩვენი ქვეყნის ეს უმსხვილესი დონორი ორგანიზაციები ისედაც უკმაყოფილონი არიან საქართველოს საინვესტიციო კლიმატით და GG&MW-ს შექმნილ ვითარებაში მხარდაჭერას აღუთქვამენ.

# ჭანტურია მხარდაჭერას ყველგან ეძებს

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია და აშშ-ს მთავრობის მრჩეველი ნავთობისა და გაზის საკითხებში მაიკლ კაუგილი სტუდენტებს შეხვდნენ. "GIOC"-ის პრეზიდენტს ნახევრად ცარიელი დარბაზის წინაშე მოუწია გამოსვლა. ნავთობსადენის უსაფრთხოებითა და უნიკალურობით რექტორატის "ხათრით" დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა აღსანიშნავადაც კი არ ღირს. გია ჭანტურიამ ეს არ შეიმჩნია და მაინც მონდომებით ისაუბრა საზოგადოებრივი აზრისა და ინფორმაციის დიდი ნაკადის შესახებ, რომელიც ნავთობსადენის მარშრუტის განხილვას მოჰყვა, ნავთობსადენის



მილსადენის "არნახული დაცვა" მხოლოდ ეკრანზეა

მილების შვიდმაგი დაცვის საიმედო სისტემებზე, საქართველოსათვის გაზსადენისა და ნავთობსადენის მნიშვნელობაზე. განაცხადა, რომ საქართველო ყოველწლიურად ნავთობსადენიდან 62 მილიონ, ხოლო გაზსადენიდან 180 მილიონ დოლარს მიიღებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თავისი ყველა ატრიბუტითა და სტანდარტით, უპრეცედენტო და უნიკალურია მთელ მსოფლიოში. ერთადერთი ახალი ინფორმაცია, რაც უნივერსიტეტში გუშინ გაისმა, ის გახლდათ, რომ 2003 წლის 4-დან 25 იანვრამდე ბათუმისა და ფოთის პორტებში ნავთობსადენისათვის განკუთვნილი მილებით დატვირთული პირველი გემები შემოვლენ.

მაიკლ კაუგილის განცხადებით, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" და "ბაქო-თბილისი-ერზრუმი" საამაყო პროექტებია.

# "ჯეოსელის" წელი - სიურპრიზები კიდევ ბევრით

*საქართველოში პირველი GSM ოპერატორისთვის, "ჯეოსელისთვის," მიმდინარე - 2002 წელი, ტრადიციულად, სიახლეებითა და აბონენტებისთვის მომზადებული სიურპრიზებით იყო დატვირთული.*
*მთელი წლის განმავლობაში კომპანია თავის აბონენტებს ახალ-ახალი სახის სერვისს სთავაზობდა, ხოლო წლის ბოლოს იგი მეტად უხვპრიზიანი და წამახალისებელი საახალწლო ლატარიის გათამაშებას გვპირდება.*
*წელსვე დასრულდება "ჯეოსელის" სპეციალური აქციაც, რომელიც მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად არის გამიზნული და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მდგომარეობას.*

"ჯეოსელის" სიურპრიზები გაზაფხულიდან დაიწყო. მაისში კომპანიამ თავის აბონენტებს ახალი სერვისი - "ჯეოსელის მენიუ" შესთავაზა, რომელიც მომხმარებელს ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო ბაზის გამოყენების საშუალებას აძლევს. თავდაპირველად, "ჯეოსელის" მენიუთი" სარგებლობის საშუალება მხოლოდ იმ აბონენტებს მიეცათ, რომელთა ნომრების კოდიც 77-ით იწყებოდა და 16 კილობაიტიანი სიმ-ბარათი ჰქონდათ. კომპანიამ "ჯეოსელის მენიუს" პოპულარობა გაითვალისწინა და ნოემბერში თავის აბონენტებს ახალ მომსახურებად მისი გამარტივებული ფორმა - "ჯეოსელ-ინფო" შესთავაზა. იგი შეიცავს "ჯეოსელის მენიუს" ხუთ ყველაზე პოპულარულ პუნქტს: ვალუტის კურსს, საფეხბურთო მატჩების შედეგებს, დღის ჰოროსკოპსა და ანეკდოტს, ასევე თბილისის კინოთეატრების აფიშას. "ჯეოსელ-ინფოს" სერვისი ხელმისაწვდომია "ჯეოსელის" ყველა აბონენტისთვის, მათ შორის – ლაი-ლაის ბარათების მფლობელთათვისაც.

ნოემბერშივე ამოქმედდა "ჯეოსელის" კიდევ რამდენიმე ორიგინალური სერვისი, რომლებიც კომპანიის აბონენტებს მობილური ტელეფონის მეშვეობით ნახატების, ლოგოებისა და მელოდიების გაგზავნამიღების საშუალებას აძლევს. ამ სერვისების დიდი პოპულარობის გამო, კომპანიამ უკვე იზრუნა ლოგოების, ნახატებისა და მელოდიების ბაზის გაფართოებაზე. ამ მუდმივად განახლებად ბაზაში 3 ათასზე მეტი ნახატი და ლოგოა შესული და მათი სრულად გაცნობა მომხმარებელს "ჯეოსელის" ვებ-გვერდზე შეუძლია. გარდა ამისა, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, კომპანია ამ ბაზაში შესაბამისი თემატური ლოგოების, ნახატებისა და მელოდიების ჩამატებას აპირებს. დეკემბერში "ჯეოსელი" კატალოგს გამოუშვებს, რომლის წყალობითაც მომხმარებელი საყვარელი მელოდიების არჩევას "ინტერნეტის" გარეშეც შეძლებს.

გარდა ამ სერვისებისა, წელს "ჯეოსელმა" ე.წ. უპასუხოდ დარჩენილი ზარების სერვისიც ჩართო, რომელიც აბონენტს ნებისმიერი მიზეზით მობილური ტელეფონის გათიშვის შემთხვევაში შემოსული ზარების დაფიქსირების საშუალებას აძლევს. ამ სერვისის მეშვეობით აბონენტს საშუალება აქვს, ტელეფონის ჩართვის შემდეგ მიიღოს ინფორმაცია, თუ ვინ, რამდენჯერ და როდის დაურეკა.

2002 წლის უმთავრეს სიურპრიზად, ალბათ, "ჯეოსელის" წამახალისებელი საახალწლო ლატარია იქცევა, რომლის გათამაშებაც მიმდინარე კვირას დაიწყო და შვიდი კვირის შემდეგ, 25 იანვარს დასრულდება. თითოეული კვირის ბოლოს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში 15-15 პრიზი გათამაშდება. მათ შორის: მსუბუქი ავტომანქანა "ნივა", ტელევიზორი, გენერატორი, ვიდეო მაგნიტოფონი, მობილური ტელეფონები, ქალისა და მამაკაცის პარფიუმერია და სხვა. ლატარიის გათამაშებისას კომპანია ყოველგვარ სუბიექტივიზმს გამორიცხავს, რაც პირდაპირი ეთერის გარდა, სხვა ფაქტორებითაც იქნება უზრუნველყოფილი. მაგალითად, კომპანიის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. აბონენტთა ზარების რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლატარია უკვე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ისევე, როგორც მთელი წლის განმავლობაში, "ჯეოსელი" წლის ბოლოსაც არ დასწყვეტს გულს თავის აბონენტებს და მათ, ლატარიის გარდა, სხვა სიურპრიზებსაც შესთავაზებს. კერძოდ, კომპანია გეგმავს ყველაზე მსხვილი გადამხდელი აბონენტის, ყველაზე დიდი ხნის კლიენტის, ამა თუ იმ სერვისით ყველაზე აქტიურად მოსარგებლე და სხვა მხრივ გამორჩეული აბონენტების სპეციალური პრიზებით დასაჩუქრებას. ეს პროცესი წელსვე დაიწყება და გაისადაც გაგრძელდება. გაისისთვის კომპანიას რამდენიმე სერიოზული პროექტი აქვს დაგეგმილი, რომლებიც კომპანიის პოპულარობას, წინასწარი შეფასებით, კიდევ უფრო გაზრდის.

წელსვე, დეკემბრის ბოლოს, "ჯეოსელი" კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი (თბილისში მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად გახორციელებული) აქციის დასრულების შესახებ განაცხადებს. კომპანია დაზარალებულებს დიდ საჩუქარს უმზადებს; თუმცა, უფრო კონკრეტულად ამის თაობაზე სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოცხადდება.

აბონენტთა მომსახურების სპექტრის გარდა, "ჯეოსელი" თავისი ტექნიკური მახასიათებლების, კერძოდ, დაფარვის ზონის გაფართოებაზეც ზრუნავს. დღეისთვის კომპანიის დაფარვის ზონა საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 85, ხოლო მთლიანი ტერიტორიის 55 პროცენტს ფარავს. ეს პროცესი მუდმივად გრძელდება, რაც საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ "ჯეოსელი" აბონენტებისთვის მიცემულ დაპირებას ყოველთვის ასრულებს.

# პოლიცია საკუთარი უსუსურობის შენიღბვას პოლიტიკური სპეკულაციით ცდილობს

პირველი გვერდიდან

არადა, ექსპერტიზას სადი შარიფოვის სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენა უჭირს გვამის შორს წასული ლპობის გამო. ექსპერტ-ექიმები აცხადებენ, რომ გარდაცვლილის შინაგანი ორგანოები, რომლებზეც ლაბორატორიული გამოკვლევა სწორედ სიკვდილის გამომწვევი მიზეზის დასადგენად უნდა ჩატარდეს, ძლიერი ლპობის სტადიაშია. ამის გამო, ადვილი შესაძლებელია, ვერც გაირკვეს – რამ გამოიწვია სადი შარიფოვის სიკვდილი. პირველადი ექსპერტიზის მიხედვით უტყუარია ის ფაქტი, რომ შარიფოვი დაახლოებით ერთი კვირის წინ გარდაიცვალა. ექსპერტიზა იმასაც ამბობს, რომ მის გვამს დაზიანებები კი აღენიშნება, მაგრამ რისგან არის მიღებული ეს დაზიანებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასრულებამდე ამის თქმა ძნელია. **"ფეხისა და ხელის მიდამოებში მას ნაჭდევები აღენიშნება, დასაშვებია ეს ნაკაწრები სიკვდილამდეც ჰქონდა. გამორიცხული არ არის, სხეულზე არსებული სხვა დაზიანებები მღრღნელების კვალიც იყოს. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, სად იმყოფებოდა ცხედარი – წყალში, მიწაზე თუ სახლის პირობებში. რისი თქმაც უკვე დანამდვილებით შეიძლება, ის არის, რომ მოხუცი კარგა ხნის გარდაცვლილია. მიუხედავად ზამთრის პირობებისა, ცხედარი გახრწნის პროცესშია",** –განაცხადა ჩვენთან საუბრისას სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის მოადგილემ გიორგი ცინცაძემ.

მოკლედ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მეცნიერული დასკვნის მოლოდინშია. გატაცებისა და მკვლელობის ვერსიას კი სამართალდამცველები ისევ მკაცრად ასაიდუმლოებენ და როგორც ყოველთვის, ამის მიზეზად გამოძიების ინტერესებს ასახელებენ. რატომღაც, მომხდარის შესახებ მინიშნებებს უფრო პოლიტიკურ ჭრილში აკეთებენ და იმ უცნობ ბოროტ ძალებსა და წრეებზე საუბრობენ, რომელთაც ზურაბ ჩხაიძის თქმით, საქართველოს წარმატებები და ქართველი ხალხის კარგად ყოფნა არ უხარიათ.

ნაციონალური შუღლის გაღვივების მცდელობა; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი; სამხედრო ბაზების საკითხი; სპეცსამსახურების გააქტიურება – ეს ის მოტივებია, რომლებიც შს მინისტრის მოადგილის მტკიცებით, შესაძლოა, სულ ცოტა ხანში ნავთობკომპანია "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცების მიზეზად გამოცხადდეს. ამგვარ მინიშნებებს სახელმწიფო კანცელარიაშიც აკეთებენ. თუმცა, ჯერჯერობით, არაფერს აკონკრეტებენ. არადა, სადი შარიფოვის გატაცება თავდაპირველად, შინაგან საქმეთა მინისტრის პირით, ჩეულებრივ რიგით კრიმინალად მოინათლა. ჩვენი ინფორმაციით, შარიფოვის საქმესთან დაკავშირებით, კობა ნარჩემაშვილი გუშინ აზერბაიჯანელ კოლეგას ტელეფონით შეუთანხმდა - მომხდართან დაკავშირებით ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებები ჩაეტარებინათ და ამ ღონისძიებებში რუსი კოლეგებიც ჩაერთოთ.


გოჩიტა ბახაიძის ფოტო

*სადი შარიფოვის ცხედრის გადასვენება.*

მოკლედ, დანაშაულებების მოდადქცეული პოლიტიზირება აზერბაიჯანელი მოხუცის გატაცების საქმესაც შეეხო. ჯერჯერობით კი კვლავ ბუნდოვანია: მართლაც დაგეგმილი იყო თუ არა "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცება, თუ გამტაცებლებმა მართლაც არ იცოდნენ, ვის იტაცებდნენ. გამოძიება კი აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება ჯერ არ არსებობს. **"არც ერთ ვერსიას არც ვადასტურებ და არც უარვყოფ, საქმეში ეჭვმიტანილი კი, ჯერჯერობით, ნამდვილად არ გვყავს",** – შსს-სგან განსხვავებული, ასეთი კომენტარით უპასუხა "24 საათს" სადი შარიფოვის საქმის საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა კახა ნავაძემ.

# 74 წლის ასაკში ციხეში-გაუპატიურებისა და მკვლელობის გამო

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ხანდაზმულის (ქალები - 60 წლიდან; მამაკაცები - 65 წლიდან) მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება. რამდენიმე დღის წინ თელავის რაიონულმა სასამართლომ 74 წლის გიორგი კუპატაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

**"მის მიერ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ამიტომ დამნაშავე იზოლირებული უნდა იყოს",** – ასეთია ხანდაზმული გიორგი კუპატაძისთვის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი მკაცრი გადაწყვეტილება. საქმე ისაა, რომ კუპატაძეს ბრალად ედება თანასოფლელისა და მეზობლის ეთერ თაზიაშვილის მკვლელობა, გაუპატიურების მიზნით.

მკვლელობა, რომლის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა, ათი დღის წინ მოხდა. ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში მცხოვრებლებმა საკუთარ სახლში მოკლული ეთერ თაზიაშვილის ცხედარი იპოვეს. გამოძიებამ რამდენიმე ვერსიაზე დაიწყო მუშაობა, თუმცა მარტოხელა მოხუცის მკვლელობის მოტივად ძარცვისა და ყაჩაღობის ვერსია თავიდანვე გამოირიცხა, რადგან, როგორც სამართალდამცველები ამტკიცებდნენ, მოკლული მოხუცის სახლში ყველა ნივთი ხელშეუხებელი იყო. თავიდანვე გამოირიცხა მოხუცის მიმართ ანგარიშსწორების ვერსიაც. ერთი სიტყვით, კონკრეტულად რომელ ვერსიაზე მუშაობდნენ სამართალდამცველები, მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. მათ რამდენიმე დღის წინ დააკავეს ეთერ თაზიაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მისივე თანასოფლელი და მეზობელი – გიორგი კუპატაძე. როგორც გაირკვა, მოკლულსა და ეჭვმიტანილს ათი წლის განმავლობაში ერთმანეთთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ ადრე მომხდარი კონფლიქტის გამო.

**"უკვე ჩამობნელებული იყო, დავინახე, როგორ გადავიდა ეთერ თაზიაშვილი მეზობელთან. მის სახლში შევიპარე და მოვუცადე. გვიან მობრუნდა, დენი არ იყო და სანამ სანთელს აანთებდა, ვერ შემამჩნია. დამინახა თუ არა, შეშის ნაჭერი აიღო და დამემუქრა. მომარჯვებული შეშის ნაჭერი წავართვი და თავში რამდენჯერმე ჩავარტყი, მისი მოკვლა არ მქონდა ჩაფიქრებული",** - ასეთი აღიარებითი ჩვენება მისცა ბრალდებულმა გიორგი კუპატაძემ გამოძიებას. მოგვიანებით კი დაამატა, რომ მომაკვდავი თაზიაშვილი მეორე ოთახში გაათრია და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მსხვერპლი ცოცხალი აღარ იყო, დასისხლიანებულ გვამს გადასაფარებელი გადააფარა და გაუჩინარდა.

ერთი სიტყვით, ეთერ თაზიაშვილის მკვლელობას სამართალდამცველები გახსნილად აცხადებენ და 74 წლის გიორგი კუპატაძის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე საუბრობენ.

ჩვენი ინფორმაციით, ბრალდებულის ადვოკატმა თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვა სწორედ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დარღვევის მოტივით.

დატოვებს თუ არა ძალაში საოლქო სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუ დააკმაყოფილებს ბრალდებულის დამცველი ადვოკატის მოთხოვნას, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია – 74 წლის კუპატაძეს მისი ასაკისთვის საკმაოდ იშვიათი დანაშაული, გაუპატიურების მიზნით მკვლელობა ედება ბრალად.

# 11 წლის ბიჭზე მამის მაგივრად იძიეს შური?

თამარ კაციტაძე

საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობა მართლაც უკიდურესად დაიძაბა. ბოლო პერიოდში ზედიზედ მომხდარმა უმძიმესმა დანაშაულებმა ბევრს 1992-1994 წლებიც კი გაახსენა. თუმცა, გუშინდელი ფაქტი ყოველგვარ საზღვარს სცილდება. საქართველოს უახლოეს კრიმინალურ ისტორიაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ დამნაშავეს ბავშვისთვის ცეცხლსასროლი იარაღი ესროლა.

თვითმხილველთა თქმით, ვაჟაფშაველას გამზირზე მცხოვრები 11 წლის ირაკლი ჭეხანი, რომელიც დილით სკოლაში მიდიოდა, კიბის ბოლო საფეხურზე მოულოდნელად სადარბაზოსთან ჩასაფრებულმა ახალგაზრდა მამაკაცმა დაიჭირა. ბიჭმა გაქცევა სცადა, მაგრამ თვდამსხმელმა ცელოფანის პარკიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და ბავშვს ზურგში, გულის მიმართულებით ესროლა. თვითმხილველნი იმასაც ამბობენ - მკვლელი რამდენიმე წუთი წაქცეულ ბავშვს დაჰყურებდა და როცა დარწმუნდა, რომ ბიჭი ნამდვილად მკვდარი იყო, ავტომობილით გაიქცაო.

ბავშვი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგთა განცხადებით, ირაკლი ჭეხანს მარცხენა ფილტვი გამჭოლი ჭრილობით აქვს დაზიანებული. მართალია, ამჟამად ბიჭი მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მომხდართან დაკავშირებით, ქალაქში უამრავი ვერსია გავრცელდა, თუმცა, ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში, სადაც განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა, ბიჭის დაჭრასთან დაკავშირებით, ზუსტ მიზეზს ვერ ასახელებენ. ზოგადად კი, სამართალდამცველები შურისძიების ვერსიაზე საუბრობენ. გამოძიებასთან ურთიერთობისგან თავს იკავებენ დაჭრილი ბავშვის მშობლებიც.

ვიდრე სამართალდამცველები ირაკლი ჭეხანის დაჭრის ზუსტ მიზეზს დაადგენდნენ და დამნაშავეს დაიჭერდნენ, მანამდე ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

ირაკლი ჭეხანის მამა ავთანდილ ჭეხანი მესტიაში დაიბადა და გაიზარდა. მაგრამ სარწმუნო წყაროს ცნობით, სხვადასხვა მიზეზის გამო, თითქმის ათი წლის მანძილზე სვანეთში ჩასვლას ვერ ბედავს. ამ ხნის განმავლობაში ჭეხანი თურმე ხან რუსეთში, ხანაც უკრაინაში ცხოვრობდა. მისი შვილის დაჭრის მიზეზიც სწორედ აქ უნდა იმალებოდეს.

უკრაინაში ავთანდილ ჭეხანი სხვადასხვა მცირე ბიზნესით ყოფილა დაკავებული. სავარაუდოდ, ჭეხანს ვალი დასდებია, რასაც იგი ვერ იხდიდა და, საბოლოოდ, მევალე მოუკლავს. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ჭეხანი მკვლელობისთვის უკრაინაში ცოტა ხნით დაჭერილიც იყო, მაგრამ საკმარისი მტკიცებულებების არ არსებობის გამო იგი გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მას, როგორც ჩანს, უკრაინაშიც აღარ დაედგომებოდა და საქართველოში დაბრუნდა.

შესაძლოა, პატარა ირაკლის დაჭრა ამ გარემოებების გამოძახილი იყოს.

# როდის დასრულდება „ასტრა-დილომის„ გარშემო დაწყებული დავა?

თექვსმეტთვიანი დავის შემდეგ საოლქო სასამართლომ წერტილი დაუსვა შპს "ასტრა-დილომის" გარშემო არსებულ დაპირისპირებას. ფირმის დირექტორი თამაზ შაფათავა "ასტრა-დილომის" ყოფილ პარტნიორს კიკაბიძეს დიდი რაოდენობით ქონების მითვისებაში სდებდა ბრალს და მის დაპატიმრებას მოითხოვდა. ქალაქის საგამოძიებო დეპარტამენტში აღძრული სისხლის სამართლის საქმე 2001 წლის თებერვალში დანაშაულის არარსებობის გამო შეწყდა, მაგრამ შაფათავას მოთხოვნით, იმავე წლის აპრილში ისევ განახლდა. გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა და კიკაბიძე უდანაშაულოდ სცნო. გუშინ კი საოლქო სასამართლომ შაფათავას საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

## მოკლედ

**თბილისი.** გორის სასამართლოში განახლდა სტრავროპოლის მილიციის სამი თანამშრომლის სასამართლო პროცესი, რომელთაც 2002 წლის ივლისში საზღვარი უკანონოდ გადმოლახეს.

განსასჯელებმა - 41 წლის მიხეილ ტიჩკოვმა, 53 წლის ვლადიმერ ბლინოვმა და 35 წლის იური უგრიუმოვმა - სასამართლოში განაცხადეს, რომ წამოყენებულ ბრალდებებს არ ეთანხმებიან; თუმცა, ძიების დროს დანაშაული აღიარეს.

ბრალდებულთა აზრით, საჭირო იყო მათი დეპორტაცია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის ციხიდან გაათავისუფლეს კრიმინალური დანაშაულისთვის მსჯავრდებული ორ ქართველი - გიორგი კუბლაშვილი და რუსუდან ცინცაძე. ისინი ცხინვალის სასამართლომ ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით გაასამართლა და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ქართველთა შეწყალების გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოევმა ერთი თვის წინ მიიღო. **კავკას-პრესი.**

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
Visage

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"
MATTIOLLI ENGINEERING

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

# ტრეფიკინგს საქართველოში მძიმე კატეგორიის დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცემა

ინგა ალავიძე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ახალი მუხლი დაემატება – 143 პრიმ – ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება. საქართველოში აქამდე დაუსჯელი ტრანსნაციონალური დანაშაული – ტრეფიკინგი – ამიერიდან საკანონმდებლო არტახებში მოექცევა. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომავალ სამშაბათს პრეზიდენტს გადაეცემა, ხოლო მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება..

"ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ექსპლუატაციის მიზნით ისჯება 5-დან 10 წლამდე პატიმრობით; თუ ადამიანით მოვაჭრე დანაშაულს ჩაიდენს შანტაჟის, მოტყუებისა და ძალადობის გზით, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ადამიანს მოტყუებით გაიყვანს საზღვარგარეთ, გარიგება შედგება დაზარალებულის სხეულის ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით, მაშინ დამნაშავე ისჯება 8-დან 15 წლამდე პატიმრობით; თუ ტრეფიკინგით დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება და მათი ქმედება ადამიანის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგს გამოიწვევს, ჯგუფის წევრებს 12-დან 20 წლამდე სასჯელი ელოდებათ."

კანონპროექტის ავტორმა იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გოგიბერიძემ გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დისკუსიისთვის მრგვალ მაგიდასთან მიიწვია. **"საერთაშორისო ორგანიზაციები შეშფოთებულნი არიან, რადგან ადამიანით ვაჭრობამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. ამიტომაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გადაუდებელი ღონისძიებების გატარება, მკაცრი სანქციების დაწესება და, რაც მთავარია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე ზრუნვა,"** – განაცხადა გიორგი გოგიბერიძემ.



*კანონპროექტის განხილვა*

არასამთავრობო ორგანიზაციებმა საერთო ჯამში მოიწონეს კანონპროექტი, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს მოსთხოვეს პროექტში ცვლილებების შეტანაც. საუბარია მუხლის კვალიფიკაციის დაზუსტებაზე. ე. ი. არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ, რომ კვალიფიკაცია - ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება – ტრეფიკინგით შეიცვალოს. გარდა ამისა, არსამთავრობოები აყენებენ წინადადებას, სისხლის სამართლის კოდექსში ბავშვების მიმართ განხორციელებულ ტრეფიკინგს ცალკე მუხლი მიეძღვნას. **"ჩვენი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები სწორ შენიშვნებს გამოთქვამენ. ტრეფიკინგი, ეს ტრანსნაციონალური დანაშაული, ბევრ რამეს მოიცავს და, ალბათ, უმჯობესია მისი კვალიფიკაციის შეცვლა. ასევე აუცილებელია კოდექსში ბავშვის ტრეფიკინგის მუხლის შეტანაც და, რაც მთავარია, უნდა გამკაცრდეს სანქციები,"** - ასეთი შეფასება მისცა კანონპროექტს ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა.

**"ტრეფიკინგი, მართლაც, უმძიმესი დანაშაულია და საქართველოშიც სათანადოდ უნდა დაისაჯოს. ჩვენთან ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი საგრძნობლად მატულობს. ამის დამადასტურებელი მასალები მრავლად მოგვეპოვება,"** – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრეფიკინგით დასაქმებულთა წინააღმდეგ სადამსჯელო სანქციების გამკაცრებას კატეგორიულად მოითხოვენ.

იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქართული არასამთავრობოების შენიშვნებს დაეთანხმა და მათი გათვალისწინებით პროექტი სამშაბათს გადაეცემა პრეზიდენტის კანცელარიას.

## ინფორმაცია

### გერმანიის დახმარება მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აგრძელებს დახმარებას მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ. ამ მიზნით გამოიყო დახმარება, 2 მილიონ ხუთასი ათასი ევროს ოდენობით, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და ლტოლვილთა თავშესაფრების აღდგენას მოხმარდება. პროექტი ხორციელდება ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) მიერ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა, უვე შრამმა, "24 საათს" განუცხადა, რომ ინსპექტორები გერმანიიდან უკვე ჩამოვიდნენ. ისინი დაადგენენ სარეაბილიტაციო შენობებს და შემდეგ გასცემენ აღსადგენი სამუშაოების დაკვეთებს ადგილობრივ ორგანიზაციებზე. ***"24 საათი"***

### გამარჯობა, მეგობრებო!

ისრაელის საელჩომ საქართველოში აღადგინა "შალომ კლუბის" ტრადიციული ყოველწლიური შეხვედრები, რომელზეც კლუბის ყველა წევრს იწვევენ. კლუბის წევრები ავტომატურად ხდებიან ის ადამიანები, რომლებიც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამით ისრაელში სასწავლო სემინარზე იმყოფებოდნენ. 1999-2002 წლებში საერთაშორისო სემინარის მსმენელთა რიცხვმა სამასს მიაღწია. ამიტომაც გაივსო გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზი.

ისრაელის ელჩმა ქალბატონმა რივკა კოჰენმა "შალომ კლუბის" წევრებს ისრაელის მეგობრები უწოდა და ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის თანამშრომლობის ნაყოფიერებას. მან სიამოვნებით აღნიშნა, რომ ქართველი სპეციალისტები წარმატებით ნერგავენ თავ-თავიანთ სფეროებში ისრაელში ათვისებულ თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო პროგრამა კვლავ გაგრძელდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი სპეციალისტი. შეხვედრის ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი და ლანჩი. ***"24 საათი"***

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ალ. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის ინიციატივით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოჩენილი მწერლის ალ. დიუმას 200 წლის იუბილეს აღსანიშნავი მწერლის ნაწარმოებების გამოფენა. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის ინიციატივით, ფრანგი მწერლის საიუბილეოდ სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება ფრანგი მუსიკოსების ჟერონ პერნოსა და ჟერონ დიუკროს კლასიკური მუსიკის კონცერტი. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა შევარდნაძემ პედაგოგთა მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი ფინანსთა და განათლების სამინისტროებს დააკისრა, - განაცხადა საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ. კობახიძის თქმით, მასწავლებლები მოითხოვენ მათთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემების მოგვარებას: საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას, ატესტაციებთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღმოფხვრას, სკოლების შინაგანაწესის განსაზღვრას და, რაც მთავარია, გაყინული ხელფასების გაცემას. შეგახსენებთ, რომ, საქართველოს მასშტაბით, პედაგოგთა კუთვნილი გაყინული ხელფასი 15 მილიონ ლარს შეადგენს და მისი გასტუმრება ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქსტანდარტი“ წინასაახალწლო ბაზრობებზე მკაცრი ზედამხედველობის დაწესებას აპირებს. როგორც „საქსტანდარტის“ პროდუქციის ხარისხის კონტროლის თბილისის სამსახურის უფროსმა პაატა ბურდულმა თქვა, შემუშავებულია ბაზრობების საზედამხედველო ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც ყველა ბაზრის ხელმძღვანელს დაურიგდა. უახლოეს დღეებში გაიმართება სავაჭრო ობიექტებისა და „საქსტანდარტის“ თანამშრომელთა ერთობლივი შეხვედრა, სადაც ეს პროგრამა განიხილება და საბოლოო სახეს მიიღებს. ამასთან, გაკონტროლდება სასურსათო პროდუქციის სერტიფიცირება და საზომ-საწონი საშუალებების მდგომარეობა. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მაღაზიების შემოწმებისას „საქსტანდარტმა“ ორი დასახელების ყავის ნიმუშები გამოიკვლია. როგორც „მედია-ნიუსს“ „საქსტანდარტში“ უთხრეს, ლაბორატორიულად გამოიკვლიეს სომხეთის წარმოების ყავა „ორიგინალი“ და „ორიგინალ კლასიკი“. „ორიგინალის“ კოლოფი, 100 გრამის ნაცვლად, 94,7 გრამს იწონიდა. ხუთი გრამით ნაკლები იყო „ორიგინალ კლასიკის“ წონაც. ამასთან, „ორიგინალ კლასიკი“ არასტანდარტული აღმოჩნდა. მასში ექსტრაქტული ნივთიერების მასიური წილი, 34 პროცენტის ნაცვლად, 27,5 პროცენტი იყო. **მედია ნიუსი**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ“. ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შედგენისთვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

# საახალწლო საჩუქარი გეოფიზიკის ინსტიტუტს

*წლევანდელი 25 აპრილის შემდეგ თბილისელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ სტიქიურ მოვლენათა შორის ყველაზე მკაცრი მიწისძვრაა: ის მოულოდნელად გატყდება თავს და დიდი მსხვერპლი მოაქვს. მეცნიერებას ჯერ არ შეუძლია, წინასწარ გაიგოს, თუ როდის მოხდება მიწისძვრა, სად და რა სიძლიერის იქნება იგი...*

დალი კუპრავა

გუშინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა, ბატონმა უვე შრამმა, სეისმური დანადგარები გადასცა გეოფიზიკის ინსტიტუტს.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ თბილისში მომხდარი მიწისძვრის პირველივე დღეებში დახმარება აღუთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს სეისმური დანადგარების მოდერნიზაციის საქმეში.

ამ მიზნით გამოიყო დახმარება, დაახლოებით, 60 000 ევროს ოდენობით. აპარატურის მოდერნიზება დაევალა შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ).

მართალია, მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს აქვს სეისმური დაკვირვების ქსელი მიწისძვრის ალბათობისა და მისი სიძლიერის განსაზღვრისთვის, მაგრამ ეს სისტემა მოძველებულია და გადაიარაღებას საჭიროებს. ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში ინსტიტუტს გადაეცა აუცილებელი ტექნიკური დანადგარები და საჭირო მასალები: მიწისქვეშა ბიძგების განმსაზღვრელი თანამედროვე სეისმოგრაფი; სენსორების ადგილის განმსაზღვრელი ტრანსპორტირებადი გლობალური პოზიციური სისტემა GPS; ციფრული ფოტოაპარატი დაზიანებათა დოკუმენტური აღბეჭდვის მიზნით; პერსონალური კომპიუტერი მონაცემთა აღრიცხვისა და შეფასებისთვის.

როგორ განაწილდება და სად დაიდგმება ახალი დანადგარები, ჯერ დაზუსტებული არ არის. შესაძლოა, დავით გარეჯის სადგურში დამონტაჟდეს. საერთოდ, თბილისში სამი და თბილისის გარეთ შვიდი სეისმური სადგურია.


*უვე შრამის გერმანული საჩუქარი ქართველ სეისმოლოგებს*

მომავალი წლის დასაწყისში ინსტიტუტის თანამშრომლები გერმანელი ექსპერტის ხელმძღვანელობით შეისწავლიან თანამედროვე აპარატურის მოხმარების წესებს. საქართველოს სეისმური სადგურები აღიჭურვება მსოფლიოში მიღებული ახალი სტანდარტის აპარატურით.

მიწისძვრის საშიშროების განსაზღვრა, მისი ეპიცენტრისა და ინტენსივობის სწრაფი დადგენა მეცნიერებას მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილ კრიტიკულ სიტუაციებში ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას მისცემს.

# როგორმე ამ ზამთარს თუ გადავურჩით

*რამდენიმე თვის წინათ პედაგოგებთან შეხვედრისას ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომ 3 წელიწადში ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად შეიცვლება. ბუნებრივია, სახელმწიფო მინისტრი უკეთესობისკენ შეცვლას გულისხმობდა და მის ასეთ ოპტიმისტურ განცხადებას მსოფლიო ბანკის მიერ შეპირებული 10 მლნ. ლარი უმაგრებდა ზურგს.*

ნანა ქადაგიშვილი

დაპირებული თანხა, მართლაც, გამოიყო, შენობების აღდგენის ორწლიანი პროგრამაც შედგა, მაგრამ ეს პროგრამა ისეთი ტემპით ხორციელდება, ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებების "სრულიად შეცვლას" სამი წელიწადი ნამდვილად არ ეყოფა.

გამაგრება თბილისის 200-მდე საგანმანათლებლო დაწესებულებას სჭირდება. აქედან დაზიანების მე-4 და მე-3 ხარისხი 128 მათგანს მიაკუთვნეს. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხით, უპირველესად, ასეთი დაწესებულებების შეკეთებაა დაგეგმილი. პროგრამა, შენობის გამაგრებით სამუშაოებთან ერთად, მის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს. ასეთი რამ ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 15 წელიწადია, აღარ ღირსებია. პედაგოგებთან შეხვედრისას განათლების მინისტრმა იხუმრა კიდეც, ზოგი ჭირი მარგებელია - მიწისძვრა რომ არა, თბილისის სკოლებსა და საბავშვო ბაღებს ასე ძირფესვიანად კარგა ხანს ვერ გავარემონტებდითო. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ დედაქალაქის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წლევანდელი ზამთრის გატარება მაინც ავარიულ, კეთილმოუწყობელ შენობებში მოუწევთ.

წესით, სკოლებისა და ბაგა-ბაღების შენობების გამაგრება ამა წლის ნოემბერში უნდა დაწყებულიყო. პროგრამის განხორციელება მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს დაავალა, მაგრამ გამაგრებითი სამუშაოების დაწყება მომავალი წლის გაზაფხულამდე ვერ ხერხდება. ფონდის ინსტიტუციონალური დახმარების სამსახურის უფროსი გელა გეგეჭკორი აცხადებს, რომ პროგრამის ფორმალური მხარეების მოგვარება გაჭიანურდა და გამაგრებითი სამუშაოების დაწყება ამიტომაც გადაიდო. ასეა თუ ისე, წლევანდელ ზამთარს აღარაფერი შეიცვლება. მართალია, სასწავლო წლის დაწყებამდე ქალაქის მერიამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი 24 სკოლა გაამაგრა, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია. ბევრ მათგანს სახურავი დაზიანებული აქვს და საკლასო ოთახებში წვიმა და თოვლი ჩადის.

მერიის სამეურნეო სამმართველო ირწმუნება, ამ პროგრამის განხორციელება ჩვენთვის რომ დაევალებინათ, ფორმალური მხარეები ხელს არ შეგვიშლიდა, განსაკუთრებით ავარიულ შენობებს წლეულსვე გავამაგრებდით და სახურავებსაც გამოვუცვლიდითო. "სოციალური ინვესტიციების ფონდს პროგრამის პირველი ეტაპი რომ განეხორციელებინა კიდეც, 20 დაწესებულებაზე მეტს ვერ გაამაგრებდა. სახურავის სასწრაფოდ გამოცვლა კი 90-მდე სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობას სჭირდება. ამიტომ მთავრობას შევთავაზეთ, გერმანიის მიერ სკოლების რემონტისთვის გამოყოფილი 2,5 მლნ. ევროთი მიზნობრივი პროგრამები დაეფინანსებინათ. ამ თანხის ნახევარი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების გადახურვას მოხმარებოდა, ნახევარი კი – საკომუნიკაციო სისტემის გამოცვლას, მაგრამ უარი მივიღეთ. არადა, შენობათა სახურავების სასწრაფოდ გამაგრების სხვა საშუალება არ არსებობს," – აცხადებს სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩიაშვილი.

ჩვენმა მთავრობამ კი არჩია, რომ გერმანიისგან შეპირებული გრანტი, 2,5 მლნ. ევრო, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ 10 მლნ. ლარს დაამატოს და სკოლებისა და ბაგა-ბაღების შენობები ნელ-ნელა და ძირფესვიანად გაამაგრ-შეარემონტოს. ასე რომ, თუ დედაქალაქის მოსწავლე-მასწავლებლები წლევანდელ ზამთარს გადაიტანენ, მომავალში შეუძლიათ კეთილმოწყობილი შენობების იმედი ჰქონდეთ.

# რად გვინდა თქვენი ჯილდოები?!

*ომის ვეტერანებმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს ხელისუფლება მათი უფლებების იგნორირებაში. იმ სახელმწიფო ჯილდოებს, რომლებიც ომის ვეტერანებმა, დამსახურების გამო, პრეზიდენტისგან გულუხვად მიიღეს, დღეს ჩალის ფასი დაედო. მეომრები აცხადებენ, რომ, თუ უახლოეს დღეებში ხელისუფლება მათ სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს, 2 იანვარს, ბედობის დღეს, ვეტერანები საკუთარ ჯილდოებს სანაგვეზე მოისვრიან.*

ეთერ მამულაშვილი

შელახული უფლებების აღდგენისა და კანონით დაწესებული შეღავათების მიღების მოთხოვნით, ომის ვეტერანები გუშინ სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს შეხვდნენ. ვეტერანთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩივიან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები პარტიული ნიშნით გამოიყოფა. "ისინი კი, იმის ნაცვლად, რომ ვეტერანთა პროგრამები დააფინანსონ, ამ ფულს კაზინოებში ხარჯავენ, უცხოეთის ბანკებში აბანდებენ და ნარკოტიკულ ნივთიერებებს ყიდულობენ. თუ ამ ყველაფერს ბოლო არ მოეღება, მათ სახელებსა და გვარებს მალე მთელი საზოგადოება გაიგებს", - იმუქრებიან ვეტერანები.

მეომრები და მათი ახლობლები გუშინ რიგრიგობით ყვებოდნენ ათი წლის წინ ჩადენილი საგმირო ამბებისა და დღევანდელი დაკნინებული ცხოვრების შესახებ.

აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა, რომლის მეუღლე სოხუმის აღების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა, დახმარება გვთხოვა: "ჩემ შვილს სახელმწიფო დაცვის სამსახურში იმის გამო არ იღებენ, რომ სიმაღლის დასაშვებ ნორმას სამი სანტიმეტრი აკლია. ბაბუამისს, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, მარჯვენა ფეხი ხუთი სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა. სამი სანტიმეტრი რა გახდა, რომ ჩემი ბიჭი სამსახურში მიიღონ - მეც დამეხმარება და თავის თავსაც".

მეომრები იმის გამოც წუხდნენ, რომ მათი კუთვნილი დახმარებები ადრესატამდე იშვიათად და, ისიც მხოლოდ "ნამცეცების" სახით აღწევს. "მსხლის კომპოტები და ვაშლის მურაბები საკუთარ ცოლ-შვილს წაუღონ, მათხოვრები კი არ ვართ", - ასე დაიწუნეს სახელმწიფოს საჩუქარი მეომართა ოჯახებმა.

აფხაზეთის ომის ვეტერანებს სასამართლოსთანაც აქვთ პრეტენზიები. მოქმედი კანონმდებლობით, ადამიანს სასამართლო აღიარებს ვეტერანად. სასამართლო კი, მეომრების თქმით, ასეთი ცნობის გაცემაში ხშირად 300-500 დოლარს იღებს. "შევარდნაძემ ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დამაჯილდოვა. ნუთუ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სასამართლომ ვეტერანად მაღიაროს? ხუთი-ექვსი მოწმე მოიყვანეო, მეუბნებიან სასამართლოში", - ჩიოდა სამტრედიიდან ჩამოსული, აფხაზეთში ნაომარი შუახნის მამაკაცი.


*"ჩვენი ფული კაზინოებში იხარჯება..."*

# ახლადშექმნილი ფედერაცია კავკასიელების უფლებებისთვის იბრძოლებს

*ადამიანის უფლებების დაცვის კვირეულის დღეებში თბილისში დაფუძნდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კავკასიის ფედერაცია. ამასთან დაკავშირებით, გუშინ ფედერაციის ხელმძღვანელმა, ჯუმბერ პაპაშვილმა, ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართა.*

ფედერაციას განზრახული აქვს, აღადგინოს ის ტრადიციები, რომელიც კავკასიელ ხალხს შორის არსებობდა და დავიწყებას მიეცა. "უხუცესთა საბჭოს" შექმნა კავკასიის მასშტაბით, "კავკასიის ღირსეული შვილის" წოდების დაწესება, ისტორიული ძეგლების მოვლა, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მოხუცებისთვის ინტერნატებისა და პანსიონატების დაარსება, კავკასიელთა ძველი საურთიერთობო ენის – ქართულის პოპულარიზაცია. აი, არასრული ნუსხა იმ საქმიანობისა, რომელსაც ფედერაცია აპირებს.

კავკასიური სახლის ჩეჩნურ-ინგუშური სექტორის გამგემ, მექა ხანგოშვილმა, რომელიც ახლად დაფუძნებული ფედერაციის წევრიცაა, პრესისთვის განცხადება გააკეთა და თხოვნით მიმართა ქართველ ხალხს, მხარდაჭერა გამოხატონ იმ სამი ახალგაზრდა ჩეჩენი პატიმრის მიმართ, რომელთაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, მისი აზრით, არასწორი განაჩენი გამოუტანა. "24 საათის" შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად რა სახით აპირებს ფედერაცია ჩეჩენი პატიმრების დახმარებას, ჯუმბერ პაპაშვილმა განაცხადა, რომ მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქმეში ჩართავენ თავიანთ ადვოკატებს, რომელთაც უნდა დაასაბუთონ, რომ, საერთაშორისო კანონმდებლობით, საქართველოს სამართალდამცავებს არა აქვთ ჩეჩენი პატიმრების რუსეთისთვის გადაცემის უფლება.

კავკასიაში, სადაც ადამიანთა უფლებები ყოველ ნაბიჯზე ირღვევა, რაიმეს პროგნოზირება ძნელია. ახლად შექმნილ ფედერაციას, რომელიც ორთაჭალაში, ცენტრალური ავტოვაგზლის შენობაში დაიდებს ბინას, მრავალი კეთილშობილური განზრახვა აქვს. "საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს", - მოკრძალებულად აცხადებენ ფედერაციის წევრები.

***"24 საათი"***

ხუთი პრემია ექვსი პრემიის ნაცვლად B2

TV-პროგრამა B6

რონალდო „World Soccer"-ის ლაურეატია B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ჩვენ კრიმინალების ინტერესები შევლახეთ

## ამ ქვეყანაში კი ბევრი კრიმინალია

*"ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის, იგნასიო ირიბარენის, ღარიბი ქართული ლექსიკონიდან საყვარელი სიტყვაა "ვაიმე". საქართველოში მუშაობისას დაგროვილი ცუდი შთაბეჭდილების გარდა, მთავრობისგან ცოტაც და ერთ ცუდ რამეს გადაიღებს -*
*ლამის ყველა არსებულ უბედურებას ხალხს აბრალებს... ხალხს, რომელიც ელექტროენერგიას იპარავს და ფულს არ იხდის. მისი აზრით, მთავრობამ თავისი მოქალაქეებისგან სწორი ქცევა უნდა მოითხოვოს... ირიბარენს ნამდვილად უნდა ესმოდეს, რომ ამის უფლება საქართველოს მთავრობას საქართველოს მოსახლეობისადმი დღეს არანაირად არ აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ირიბარენი არ არის ხალხსა და ხელისუფლებას შორის არსებული უკუნი სიბნელის ერთადერთი მიზეზი.*
*როცა "ეი-ი-ეს თელასის" ვენესუელელ გენერალურ მენეჯერს შევხვდით, ტელეფონზე საუბრობდა და ვიღაცას ნახევრად ხუმრობით შესჩიოდა იმის შესახებ, როგორ აგლეჯენ ძვლებიდან დარჩენილ ხორცს ძერები და როგორ ექცა ცხოვრება ჯოჯოხეთად...*

მაია ჭალაგანიძე

**- ვინ გიქციათ ცხოვრება ჯოჯოხეთად?**

- იცით, რა არის კრიზისის მენეჯმენტი?! მთელი მსოფლიოს კომპანიები თავს არიდებენ კრიზისის აღმოფხვრას. მე კი დღეს მუდმივი კრიზისის მენეჯმენტში დისერტაციის დაცვა შემიძლია.

**- რამ შექმნა კრიზისი?**

- ეროვნული ელექტროგადაცემის კომპანიის გადაცემის ხაზები და ბოძები ცვივა და ზიანდება. იცით რატომ? იმიტომ, რომ ხალხი იპარავს ბოძების შემადგენელ ნაწილებს და ჯართში აბარებს. იმისთვის, რომ ამ ლითონში ორი, ან მეტი ლარი აიღოს და მერე მთელი ქვეყანა ამ ორი ლარის ფასად უშუქოდ დატოვოს. ეგეთი რამ არსად მინახავს.

**- რატომ არის ტექნიკურად ასე ცუდ მდგომარეობაში ხაზები?**

- 16 მილიონზე მეტი (ზუსტი ციფრი არ მახსოვს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, 15 მილიონზე მეტია) ელექტროგადაცემას, ხოლო საერთოდ, საქართველოს ენერგეტიკას 300 მილიონ ლარზე მეტი გადავუხადეთ.

**- სად წავიდა ეს ფული?**

- სად არ წავიდა, ეს ნამდვილად ვიცი. ბოძების შესაკეთებლად არ დახარჯულა, საწყალი ხალხის ხელფასები არ გასტუმრებულა. მაშინ სად წავიდა? მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო - ალბათ, სადღაც, შვეიცარიის ბანკებში დაილექა. იმ დამნაშავე ხალხისგან რამდენი გამოვლინდა და წავიდა ციხეში?! ნული! რამდენის წინააღმდეგ ხდება გამოძიება? ნული!

**- თქვენ ხომ დაგიბარეს სასამართლოში?**

- ჰო, მე. ჩემს წინააღმდეგ ხდება გამოძიება... ჩვენ შევთავაზეთ ყველას, მოესმინა ინფორმაცია თანხების გადახდის შესახებ და მერე თავად მიეკვლიათ ვინ, სად და როდის არ გადაიხადა დენის საფასური. რამდენი მოვიდა და დაინტერესდა ამ ანგარიშებით?! ნული!

**- თქვენ კრიზისის მენეჯმენტის საშინელებებზე საუბრობდით. როცა საქართველოში ჩამოხვედით, ითქვა, რომ იყავით "ეი-ი-ეს თელასის" ლიკვიდატორი...**

- იცით რა? რისი სიჭარბეც არის საქართველოში - ხმებია. იმიტომ, რომ ხალხს ურჩევნია, სხვის პრობლემაზე ისაუბროს, ვიდრე თავისი საკუთარი პრობლემა გადაჭრას. ეს ძალზე ცუდია. იმიტომ, რომ სხვაში ეძებენ ცუდს, სხვაზე გადაბრალების პოლიტიკას ატარებს ყველა. ამის გამოა ზუსტად, რომ შალვასნაირი ტიპი (იგულისხმება ნათელაშვილი-რედ.) ასეთი პოპულარულია. შალვა ნამდვილად დიდებულად აკრიტიკებს და აბრალებს სხვას ყველაფერს. ერთხელ მაინც თუ შეუთავაზებია ჭკვიანური გამოსავალი რაიმე პრობლემიდან?

**- თქვენ საკონსტიტუციო სასამართლოში დაგკითხეს.**

- თუ ამ ქვეყნიდან გამაგდებენ, ძალიან მშვიდობიანი ცხოვრება მექნება. ზოგჯერ, თვალაპყრობილი ვნატრობ, ნეტავ შალვა სასამართლომ გაამართლოს-მეთქი. მაგრამ, ხომ გესმით, მეორე მხრივ რა შემაძრწუნებელი ფიქრია ეს?!

**- ვინ უნდა გადაწყვიტოს თქვენი საქართველოდან წასვლის საკითხი - ცენტრალურმა ოფისმა თუ საქართველოს მთავრობამ?**

- თქვენი შეკითხვის მეორე ნახევარი ძალზე საინტერესო და კარგია. საქართველოს მთავრობას ძალიან ვუყვარდით, როცა მარჯვნივ და მარცხნივ ფულებს ვყრიდით... აი, აქ გავჩერდები, აღარაფერს ვიტყვი. წესით კი, "ეი-ი-ეს თელასის" წასვლა-დარჩენა ცენტრალურმა ოფისმა უნდა გადაწყვიტოს.

**- თუ შეხებიხართ (და ალბათ, შეხებიხართ) საქართველოს ენერგომაფიას?**

- ყოველ შემთხვევაში, ეს ენერგომაფია ჩვენგან გადასარევად ფინანსდებოდა. 300 მილიონი ჩავდეთ ენერგეტიკაში. ამ ქურდებს იმდენი სინდისიც კი არ აღმოაჩნდათ, რომ თანამშრომელთა მცირედი ხელფასები გაესტუმრებინათ.

**- ვინ არიან ეს ქურდები?**

- გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი. მეტისმეტად ვარ დაკავებული ჩემი კომპანიის მოწესრიგებით და დარწმუნებული ვარ, ეს ყველამ ჩემზე უკეთ იცის. ეს იქნებოდა ელექტროგადაცემის, საბითუმო ბაზრის, ნებისმიერი იმ კომპანიის ხელმძღვანელობა, რომელმაც ჩვენგან ფული მიიღო და მიზნობრივად არ მოიხმარა; ქურდია ნებისმიერი პიროვნება, რომელმაც თანხა საქართველოს მთავრობის სახელით მიითვალა და ეს თანხა საჭიროებისამებრ არ გამოიყენა - არ შეაკეთა გადამცემი ხაზები, ბოძები, და ა.შ. გინდათ, რეალურად გითხრათ? არა, არა... მეტისმეტი გამომივიდა, დღეს უფრო შორს აღარ წავალ.

ფაქტობრივად, საქართველოს ენერგეტიკა აბსოლუტურად განადგურებულია და ჩვენი იურისტები თავისი დროის ნახევარზე მეტს სულელურ სარჩელებში კარგავენ. ეს სარჩელები, უბრალოდ, პოლიტიკური შეტევაა"ეი-ი-ეს თელასზე".

**- თუ ენერგეტიკა განადგურებულია, თქვენ რაღას ემსახურებით?**

- ვცდილობ, რომ თბილისელთა ცხოვრება ცოტათი მაინც გავაუმჯობესო. ვიცი, რომ ჩვენ ძალიან გვაკრიტიკებენ, მაგრამ ვერ დაიჯერებთ, რა უკიდურესი ზომების მიღება მჭირდება. საქართველოში ეი-ი-ეს-მა ძალზე დიდი თანხები იზარალა. ჩვენ მაინც ვცდილობთ.

**- ჩვენი პრეზიდენტი ერთ დღეს ეი-ი-ეს-ს გაკოტრებულად აცხადებს და მის წასვლას ითხოვს საქართველოდან. მეორე დღეს კი მას არაჩვეულებრივ კომპანიას უწოდებს, რომლის საქართველოში ჩამოსვლას საკუთარი ძალისხმევაც კი მოახმარა. ბოლოს და ბოლოს, რა ორგანიზაციაა ეს ეი-ი-ესი?**

- ეს, ალბათ, შევარდნაძეს უნდა ჰკითხოთ. ისე, ჩვენ მთავრობის სხდომაზე გვისაყვედურეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტის სიყვარულის საგანი აღარ ვართ.

**- რადგან ასეა, ალბათ, წასვლა მართლა მოგიწევთ...**

- (ოხრავს) სანამ ეი-ი-ესი წავა, მე წავალ. მე კი, გეგმაში ჯერ-ჯერობით



იგნასიო ირიბარენი

არ მაქვს წასვლა, თუ არ ჩავთვლით შვებულებას, რომელიც ძალიან დავიმსახურე.

**- თქვენი წინამორბედი სქოულისგან რა ინფორმაცია გქონდათ, სად ჩამოდიოდით?**

- მაიკლი ძალიან დაღლილი იყო და ძალზე უნდოდა აქედან წასვლა. მას რთული სამუშაო ჰქონდა და მრავალი წელი უძლებდა ამას. მან ყველაფერი მითხრა იმისთვის, რომ დავთანხმებულიყავი.

**- ესე იგი, სქოულმა თქვენ მოგატყუათ?**

- ნაწყენი არ ვარ მასზე ამის გამო. მას პირდაპირ ვუთხარი - მაიკლ, ვიცი, რაც გინდა. შენ ყველაფერს აკეთებ, რომ საქართველოში სამუშაოდ წასვლას დავთანხმდე, ჯობს, გაჩუმდე... მოკლედ, მაინც არ დავუჯერე.

**- რამდენად მართალია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის მიღებაზე სომხეთთან მიღწეული შეთანხმება ქართველი მაღალჩინოსნების წყალობით ჩაიშალა?**

- ჩვენ სომხებთან გადასარევი ურთიერთობა გვაქვს. ისინი ნამდვილი ბიზნესმენები არიან და მზად არიან, მოგვემსახურონ, ოღონდ, რა თქმა უნდა, გადახდის შემთხვევაში. ქართველები რომ არ გავალიზიანო, ფრთხილად ვიტყვი - ნეტავ ბიზნესის წარმოება ქართველებთან ისეთივე პროფესიულ დონეზე იყოს აწყობილი, როგორც სომხებთან.

**- რამდენად დამოუკიდებელი ხართ მოლაპარაკებების დროს და გადაწყვეტილებების მიღებისას?**

- დამოუკიდებელი ვარ, "ეი-ი-ესი" დეცენტრალიზირებული კომპანიაა.

**- უკრაინაში ეი-ი-ეს-მა თავისი აქტივები რუსეთის ერთიან ენერგოსისტემას მიჰყიდა. საქართველოშიც იგივე სცენარი ხომ არ მზადდება?**

- ამის შესახებ რელიზი არ ყოფილა და არაფერი ვიცი.

ბევრჯერ მითქვამს, ეი-ი-ესი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში თავისი ქონების გაყიდვის შესახებ ნებისმიერ წინადადებას შეხედავს სერიოზულად, თუ შემოთავაზებული ფასი აზრიანი იქნება. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ქონება შეერთებულ შტატებში იქნება თუ საქართველოში. თუ უკრაინამ რუსეთს მიჰყიდა, მისთვის კარგი ფასი შეუთავაზებიათ. ეს არის ძალზე მარტივი ფინანსური ფორმულა და ამას ბიზნესი ჰქვია.

**- დაბალი სიხშირეები, უხარისხო დენი - ამიტომ ხომ არ არიდებთ თავს მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებას?**

- არა. ვცდილობთ, რომ სემეკ-თან ხელშეკრულების ტექსტის საბოლოო ვარიანტი შევათანხმოთ, მაგრამ იქ ვერ იცლიან. დაჟინებით მოვითხოვთ ამ პრობლემის გადაჭრას...

**- მაშ, ვისი ბრალია ხელშეკრულებების გაჭიანურება?**

- ახლა მენეჯერებთან ხანგრძლივი თათბირის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ ხელშეკრულებები იყო. ჩვენ ამის გაკეთების აბსოლუტური სურვილი გვაქვს. მაგრამ ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას ტექსტზე. არაერთხელ ვთხოვეთ სემეკ-ს თავისი პოზიციის გამოხატვა. როდესაც ვფიქრობთ, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ, ყველაფერი იცვლება. ხვალაც რომ მკითხოთ, ალბათ, სულ სხვაგვარი მდგომარეობა იქნება.

**- უხარისხო დენზე ვინ აგებს პასუხს?**

- სიხშირე მთელს ქვეყანაში ერთნაირია. შესაბამისად, ეროვნული გამანაწილებელი კომპანია და გადაცემის კომპანია... იცით, ვინ არის რეალურად დამნაშავე? ხალხი, ვინც დენს იპარავს და არ იხდის მის საფასურს. ყველა რომ იხდიდეს დენის ფულს, არც სიხშირის პრობლემა იქნებოდა და არც დეფიციტისა. ფაქტობრივად, ისინი, ვინც ელექტროენერგიას იპარავენ, სხვების ცხოვრებას ანადგურებენ. "თელასს" ან გენერაციის კომპანიას კი არ ანადგურებენ, თავისივე ხალხს უფუჭებენ ცხოვრებას და ამიტომაც არის ენერგეტიკის პრობლემა ამ ქვეყანაში. როდესაც იხდი, ითხოვ და გაქვს!

**- ხალხი რომ დენს იპარავს, ამას თქვენ ვერ გამოასწორებთ. სხვა პროგრამა ხომ არ გაგაჩნიათ თქვენს კრიზისის მენეჯმენტში?**

- მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ ხომ "თბილისის რესპუბლიკა" არ ვართ?!

**- პრეზიდენტმა თქვა, რომ საქართველო ზამთრისთვის წელს ისე მოემზადა, როგორც არასდროს... რას იტყვის "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი?**

- ხომ იცით, ყოველმხრივ ვცდილობ, რომ პოლიტიკური განცხადებები არ გავაკეთო. მოდით, ასე ვთქვათ - არ ვეთანხმები ამ აზრს.

**- ხომ არ გგონიათ, რომ "ეი-ი-ეს თელასი" პოლიტიკის მსხვერპლია და არა ეკონომიკის?**

- შეიძლება ასე იყოს. ყველაფერი ისევ იმაზე დადის, რომ საზოგადოებამ უნდა გაიაზროს და შეიგნოს, რომ თუ მოიპარავს, პრობლემა მუდამ ექნება. ამ საზოგადოების ლიდერებმაც, მთავრობამაც უნდა მოითხოვოს თავისი მოქალაქეებისგან სწორი ქცევა. უნდა ჩადოს ისეთი ინსტრუმენტები, რომ საზოგადოება სწორად მოიქცეს, სწორად იფუნქციონიროს. ჩემს აზრს არ მოგახვევთ, მაგრამ თავადაც კარგად იცით, საქართველოში როგორი ვითარებაა.

**- ძალზე მძიმეა, მაგრამ ამ ბოლო დღეების კრიზისის მიზეზებზე რას იტყვით?**

- ეს უკვე ვთქვი. ფული, რომელიც გადახდილი იყო, მოიპარეს, სისტემისთვის საჭირო შეკეთებები, კაპიტალდაბანდებები და რეაბილიტაცია არ გაკეთდა. ენერგეტიკის დარგი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და როგორ შეიძლება, ასეთ დარგში რაიმე გააკეთო, როცა ხალხი პროდუქტის ფულს არ იხდის; როცა პრივილეგირებული პირები და კომპანიებიც კი არ იხდიან პროდუქციის ფულს. ეს დიდი პრობლემაა. ამ ხალხმა, ამ ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს - უნდა მომავალი თუ არა.

ყოველი მხრიდან გამუდმებული მტრული დარტყმების მიუხედავად, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ზოგიერთი შემოტევა იმდენად სულელურია, რომ ინტელექტუალური ადამიანისთვის შეურაცხმყოფელიც კია.

**- როგორ გგონიათ, ვის სჭირდება თქვენი საწინააღმდეგო პიარი?**

- ჩვენ ბევრი კრიმინალის ცხოვრება და ინტერესები შევლახეთ. ამ ქვეყანაში კი ბევრი კრიმინალია. არსებობს ძალზე გრძელი სია მათი, ვისაც ფეხი დავაბიჯეთ. ფული არ მადარდებს - სიამოვნებით დავტოვებდი 280 მილიონს (თუ - რაც ვიზარალე) ამ ქვეყანაში, რომ არ მოეკლათ ყველაზე დიდებული პიროვნება, რომელსაც ცხოვრებაში შევხვედრივარ. ნიკა ლომინაძის სიცოცხლე ნამდვილად არ ღირს რაიმე თანხად.

**- რას ამბობს გამოძიება, ან საკუთარი ინფორმაცია თუ გაქვთ ამ მკვლელობასთან დაკავშირებით?**

- ეს არის ხოლმე ის პირველი კითხვა, რომელსაც მთავრობას ყოველ შეხვედრაზე ვუსვამ. ნიკაზე დღეში ასჯერ ვფიქრობ. მკვლელობა, ალბათ, სამსახურებრივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, რადგან თავად აბსოლუტურად სპეტაკი ადამიანი იყო, არანაირ სიბინძურეში არ იყო გახვეული. ამაზე კარგ ადამიანს, ალბათ, ვერც შევხვდები. მისი ცოლი, ახალგაზრდა გოგონა, ქვრივია. რატომ უნდა ატაროს მთელი ცხოვრება ტკივილი, რომ ვიღაც კრიმინალმა და ნაძირალამ ასეთი დიდებული ადამიანი მოუკლა. არავინ არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს პრობლემა გადაწყვიტოს. მკვლელები აბსოლუტურად თავისუფლად დადიან თბილისის ქუჩებში და კიდევ შეუძლიათ, მოკლან ნებისმიერი, ვინც გზაზე გადაეღობებათ. ჩვენ ყოველ დღე ვეხვეწებით მთავრობას, იპოვოს ნიკას მკვლელი.

მთავრობა ვალდებულია, თავის ხალხს მინიმალური პირობები შეუქმნას და ამ პირობებიდან უპირველესი სწორედ უსაფრთხოებაა.









B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV-პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## სინემა

კინოთეატრი "ამირანი"

# „სპირიტი„

აშშ, 2002 წელი



*კადრი ფილმიდან*

კომპანია "დრიმვორქის" ნაწარმოები

რეჟისორი: **კელი ასბური და ლორნა კოხი**

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რადგან "სპირიტი" ანიმაციური ფილმია, ე.ი. იგი მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილიო. სინამდვილეში კი ეს ფილმი ყველა თაობის მაყურებლისთვის იქნება საინტერესო.

სპირიტი ქართულად "სულს" ნიშნავს და ეს სათაური ზუსტად გამოხატავს მულტფილმის დედააზრს. სურათის გამოჩენა ქართულ კინოთეატრებში ძალიან სიმბოლურად დაემთხვა ჩვენს დღევანდელობას. საზოგადოებაში ძალიან ხშირად ისმის კითხვა – ღირდა კი დამოუკიდებლობისაკენ ასე თავდაუზოგავად სწრაფვა?! იქნებ ეს ნანატრი თავისუფლება თავისთავად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოსულიყო! "სპირიტში" კი სწორედ ის აზრია გატარებული, რომ თუ ოდნავ მაინც მოეშვები და ცხოვრების მღვრიე დინებას მიჰყვები, თავისუფლებას აუცილებლად დაკარგავ. შეიძლება ტყვეობაში ჭამა-სმა არ მოგაკლდეს, მაგრამ დაღდასმული იქნები და მთელი ცხოვრება სხვისი საქმისთვის, სხვისი იდეალებისათვის ბრძოლა მოგიწევს. მონა ხომ საკუთარ მეობაზე უარს მთლიანად ამბობს. ამ ფილმში კიდევ ერთი რამაა ნიშანდობლივი, ყველა არსება (სულერთია, ეს ცხენი იქნება თუ ადამიანი) დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარ სულში იღებს გადაწყვეტილებას, დამოუკიდებლობა სურს, თუ სამუდამოდ ვინმეს მიმართ და დამონებულ მდგომარეობაში ყოფნა.

"სპირიტში" ერთი ცხენის ისტორიაა მოთხრობილი, რომელიც თავისუფალი არსებაა და ამერიკის უკიდეგანო სტეპებში დანავარდობს. იგი საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო, ადამიანთა ტყვეობაში აღმოჩნდება. რა ძალას აღარ მიმართავს ამერიკელი სამხედრო ოფიცერი, რათა ველური მუსტანგი გახედნოს, მაგრამ საწადელს ვერასდიდებით ვერ მიაღწევს. ცხენი კი მუდამ იმის ცდაშია, როგორმე ბორკილები გაწყვიტოს და თავისუფლება მოიპოვოს. საბოლოოდ, როგორც ჰოლივუდის კინოსურათებშია მიღებული, ყველაფერი კარგად მთავრდება. ერთია აღსანიშნავი, რომ ცხენს თავისუფლების მისაღწევად უფსკრულის თავზე თავგანწირული ნახტომის გაკეთება მოუწევს და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, მიაღწევს მეორე მხარეს, თუ არა. მთავარია, რომ მან ამ ნაბიჯის გადადგმა გაბედა, რადგან, თუ არსება თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელ ძალებს გაიღებს და სულის ("სპირიტის") სიმტკიცეს გამოიჩენს, სიკვდილამდე თავისუფალი დარჩება.

*არჩილ მელიქიშვილი*

# ხუთი პრემია ექვსი პრემიის ნაცვლად

"კვალის" ლიტერატურული კონკურსი დასრულდა

თამარ სუხიშვილი

ამ დღეს – 12 დეკემბერს ქართველი მწერლებიც და მკითხველებიც მოუთმენლად ელოდნენ. გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაზეთ "კვალის" ლიტერატურული კონკურსის შედეგები გახდა ცნობილი. შეგახსენებთ, რომ კონკურსი ივლისის თვეში გამოცხადდა, საკონკურსო მასალების მიღების ბოლო ვადა 20 ოქტომბერი იყო; ამის შემდეგ ჟიური, რომელიც რვა წევრისაგან შედგებოდა, ორ ნაწილად გაიყო: ერთი დრამატურგიულ ნაწარმოებებს განიხილავდა, მეორე – პროზას. ჟიურის თავმჯდომარე და კონკურსის ორგანიზატორი ამერიკაში მცხოვრები ქართველი მეცნიერი, ბატონი შოთა ვაშაკიძე იყო - ამერიკაში საქართველოს ასოციაციის დირექტორატისა და ასოციაცია "საქართველო ამერიკელი მეგობრების" საკონსულტაციო საბჭოს წევრი, რადგერსის უნივერსიტეტის პროფესორი და ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ჟიურის წევრების ვინაობა გამარჯვებულთა გამოცხადების შემდეგაც შეძლებისდაგვარად გასაიდუმლოებული დარჩა; გასაიდუმლოებული იმიტომ რომ, მომავალ წელს ჟიურის შემადგენლობა იგივე იქნება და, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, მაინც საქართველოში ვცხოვრობთ... მაგრამ საქართველოში ხომ არაფერი დაიმალება და ჟიურის რამდენიმე წევრის სახელიც გამოაშკარავდა. ცალკეული საუბრების დროს გაირკვა, რომ ჟიურიში ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი და ბატონი ზაალ სამადაშვილიც მუშაობდნენ.



*თამაზ ჭილაძე და შოთა ვაშაკიძე*

კონკურსის იდეა ასე დაიბადა: როცა ინტერნეტ-გაზეთმა "კვალმა" ანალიტიკური და პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება გადაწყვიტა, აღმოჩნდა, რომ საქართველოში ასეთი მასალების დეფიციტია. სწორედ ამის მერე დაინტერესდნენ "კვალის" მესვეურები, თუ როგორ ეხმიანებოდა ქართული ლიტერატურა თანამედროვეობას და კონკურსის ჩატარება ჩაიფიქრეს. ამ მიზნით ბატონი შოთა ვაშაკიძე მაისში ჩამოვიდა თბილისში და ქართველ მწერლებსა და დრამატურგებს შეხვდა, ესაუბრა და გადაწყვეტილებაც მიიღო.

"კვალის" ლიტერატურული შეჯიბრის მოთხოვნა ასეთი იყო: ჩვენი დღევანდელობის, ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემების ასახვა. ლიტერატურულ კონკურსში საქართველოში მცხოვრებ ავტორებთან ერთად უცხოეთში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც მონაწილეობდა.

პრემიები ასე გადანაწილდა:

**დრამატურგია:**

I პრემია: **ვანო ჩხიკვაძე, "მონოლოგი ერთი მსახიობის თეატრისათვის"**

(ეს ავტორის პირველი მცდელობაა დრამატურგიაში)

II პრემია: **თამაზ ჭილაძე, "ნადირობის სეზონი"**

III პრემია: **მამუკა დოლიძე, "თამაშგარედ დარჩენილ თეატრში"**

საინტერესოა, რომ წარმოდგენილ დრამატურგიულ ნაწარმოებებს შორის თეატრის ცხოვრების ამსახველი პიესები ჭარბობდა.

**პროზა:**

მასალების განხილვის დროს ჟიურის წევრები ამბობდნენ, რომ საკონკურსო ნაწარმოებები საკმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე იყო შესრულებული; მიუხედავად ამისა, I პრემია არცერთ პროზაულ ნაწარმოებზე არ გაცემულა.

II პრემია: **ირაკლი სამსონაძე, "ყურთბალიში"**

(ამ მოთხრობას პირობითად იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და ოჯახური დრამა შეიძლება ვუწოდოთ)

III პრემია: პენ-მარათონის გამარჯვებული **გელა ჩქვანავა, "მზის პრემიის ლაურეატები"**

(მოთხრობა გვიამბობს სოხუმის ცხოვრებაზე ომის დაწყებამდე)

საკონკურსო ფულადი პრიზები მართლაც რომ სოლიდური იყო: პირველი პრემია – 3 ათასი ლარი, მეორე პრემია – 2 ათასი ლარი, მესამე პრემია – ათასი ლარი. კონკურსის ორგანიზატორს, ბატონ შოთა ვაშაკიძეს იმედი აქვს, რომ ლიტერატურული კონკურსი ყოველწლიურად გაიმართება, ეს კი მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქართული მწერლობისათვის.

# დამნაშავე „მღრღნელია?!„

მაია აბაშიძე

"ვინ არის დამნაშავე?1" – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა თეატრალურმა სახელოსნომ წარმოადგინა. ის დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის წინასადიპლომო ნამუშევარია. პიესა ნინო ნაკაშიძეს ეკუთვნის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწერილ პიესას აქტუალობა არათუ არ დაუკარგავს, პირიქით, თავიდან შეუძენია. "პიესაში ისეთი ამბებია მოთხრობილი, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ახლა ყოველდღიურად და ჩვეულებრივად იქცა. მინდოდა, სპექტაკლს მაყურებელი აეფორიაქებინა, დაეფიქრებინა", - აღნიშნა რეჟისორმა სოსო ნემსაძემ.

სპექტაკლი ერთი ოჯახის ისტორიას გვიამბობს: გლეხის სასიმინდეში თაგვი შეიპარა და მთელი წლის სანოვაგე გაანადგურა. უიმედოდ და უსახსროდ დარჩენილი სიკო იძულებული ხდება, დატოვოს ახალშერთული ცოლი, დედა, მოხუცი ბაბუა და ლამაზ ფერებში წარმოდგენილ ამერიკას მიაშუროს. მის წასვლას უბედურებათა მთელი სერია მოჰყვება: კვდება შვილიშვილს მონატრებული ბაბუა (ზაზა ვაშაყმაძე), ცოლი არსენას საყვარელი ხდება, სამაგიეროდ, დედა - სალიხე (ნინო ფილფანი) გრძნობს თავს ბედნიერად, მამამთილის ქოხს ანგრევს და მის ადგილზე სიკოს გამოგზავნილი ფულებით ახალ სახლს აშენებს. მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს – ჰქონდეს ყველაზე მდიდარი და საუკეთესო ოჯახი. ეს სურვილი თანდათანობით ავადმყოფურ ჩვევად გადაექცევა. როცა რძლის ფეხმძიმობას იგებს, მზადაა ყველას თვალები აუხვიოს, მათ შორის - ერთადერთ შვილსაც, მთავარია, მისი ყალბად შექმნილი ოჯახური სიმშვიდე და ბედნიერება არავინ დაარღვიოს. ამერიკიდან დაბრუნებულ სიკოს ყველაფერი შეცვლილი ხვდება. აღარსადაა ბაბუას ჯარგვალა, სადღაც გამქრალა ცოლის სინაზეც, სამაგიეროდ, დედა ისეთ სუფრას გაუშლის, "მტერსაც რომ დაუყენებს თვალებს", მაგრამ ფატი, მისი საყვარელი და ლამაზი ცოლი, მდინარეში იხრჩობს თავს, რადგან ძველებურად ველარ ეფერება ქმარს. თითქოს, ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, ახლა კი ნაოცნებარი სიმდიდრე გამოუსადეგარი გახდა. სასოწარკვეთილი სიკო "ცოდვით ნაშენებ" სახლს ცეცხლს უკიდებს. ვინ არის დამნაშავე? - ამაზე რეჟისორს ორაზროვანი პასუხი აქვს: "მღრღნელები, სასიმინდე რომ გაგვინადგურეს!"

რეჟისორმა სპექტაკლში მთხრობელები შემოიყვანა (ვანო ხუციშვილი, ნათია ვარდოსანიძე). ისინი კარგად შენიღბული ჭინკები არიან, მათგან უარყოფითი ენერგია მოდის. სოსო ნემსაძის აზრით, "ასეთი ჭინკები ჩვენს ცხოვრებაშიც მრავლად არიან!"

ახალგაზრდა მსახიობების დახვეწილ მოძრაობასა და პლასტიკაზე კახა ბაკურაძემ და ქორეოგრაფმა ეკა გესლაიძემ იმუშავეს. სპექტაკლმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ემოციებისა და შთაბეჭდილებების დამალვა არც ფესტივალ "დებიუტის" ჟიურის წევრებს უცდიათ.

# ცხოვრება ტრაგიკულ დროში

რუსული "ბუკერი" გაიცა

ჟიურიმ რუსული "ბუკერის" მფლობელ ავტორად ოლეგ პავლოვი დაასახელა. მას პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო და 12.500 დოლარი მოსკოვში, "რენესანს ოტელში" გამართულ საზეიმო ცერემონიალზე გადაეცა. წლის ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული ღონისძიება მცირე უცნაურობების ფონზე გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ კონკურსს "ბუკერი – ღია რუსეთი" ერქვა, რუსული კარი ბოლომდე გაღებული მაინც არ აღმოჩნდა: ორგანიზატორებმა ერთ-ერთი სპონსორის მოთხოვნა გაითვალისწინეს და ფოტოჟურნალისტები და ტელეოპერატორები საღამოს საზეიმო ნაწილს არ დაასწრეს. მათ გადაღების უფლება მხოლოდ ოფიციალური სადილის დასრულების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მისცეს.

რაც შეეხება კონკურსის ფინალს, დასკვნით ეტაპზე გასვლა ექვსმა ავტორმა მოახერხა: დიმიტრი ბორტნიკოვმა (რომანით "ფრიცის სინდრომი"), ალექსანდრ მელიხოვმა ("მშობლიური საფლავების სიყვარული"), ვადიმ მესიაცმა ("ელექტროობით მკურნალობა"), ვლადიმირ სოროკინმა ("ყინული"), **ოლეგ პავლოვმა (Карагандинские Девятины)** და სერგეი განდლევსკიმ (Нрзб). კრიტიკოსთა უმრავლესობა უპირატესობას ბოლო ორ ავტორს ანიჭებდა. ამიტომ, რომელიმე სხვა მწერლის არჩევა, სკანდალს თუ არა, გაკვირვებას მაინც გამოიწვევდა.

თუმცა, რუსულმა "ბუკერმა" სკანდალების გარეშე მაინც ვერ ჩაიარა. ვლადიმირ სოროკინმა უარი განაცხადა "ბუკერის" ჯილდოზეც და საზეიმო ცერემონიალზე დასწრებაზეც. არადა, როგორც ცნობილია, თითოეულმა ფინალისტმა ავტორმა ჯილდოდ ათასი აშშ დოლარი მიიღო. სოროკინმა კი თავისი გადაწყვეტილება ასე გაამართლა: "ჩემი აზრით, "ბუკერის" პრემია "დედის საშოში ჩამპალი ბავშვია".

სამაგიეროდ, თავი დამცირებულად არ უგრძვნია გამარჯვებულ ავტორს. თუმცა, იმ ფაქტით, რომ ჟიურიმ სწორედ მისი რომანი აირჩია, მაინც გაკვირვებული დარჩა. "ჩემი რომანები თანამედროვე ლიტერატურისგან შორს დგას. მოთხოვნა მხიარულ ტექსტებზეა, მე კი ტრაგიკულ პროზას ვწერ. იმ ფონზე, რაც დღევანდელ ლიტერატურაშია შექმნილი, მე სხვა დროიდან, სხვა გამოცდილებით და შთაბეჭდილებებით მოსულს ვგავარ", - განაცხადა მან.

ოლეგ პავლოვი ახალი სახე არ გახლავთ. მან "ბუკერის" სამყაროში პირველად 1995 წელს შეაბიჯა, როდესაც მისი რომანი - "Казенная Сказка" შორტ-ლისტში მოხვდა. სახელი მაშინვე გაითქვა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ამტკიცებს, რომ ეს კარგი სულაც არ ყოფილა: "საკუთარ ასაკთან შედარებით სწრაფად სიარული გიწევს. უფრო მეტი უნდა გახდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ. რომანმა დიდი წარმატება მომიტანა, წარმატებას კი, ხომ იცით, სულ უნდა ებრძოლო – შენგან ყველა უფრო მეტს ელის. დიდად არც ვუნდერკინდის სტატუსი მომწონდა. ჩემი ასაკი უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა, ვიდრე თავად ტექსტი", - განმარტა მან. თუმცა, წელს სხვა სიტუაციაა. ახლა ყურადღების ცენტრში პავლოვის ტრაგიკული აზროვნების შედეგი – "ბუკეროსანი" რომანი დგას და არა მისი ავტორი, რომელსაც, ზოგადად, ლიტერატურულ პრემიებზე საინტერესო შეხედულება აქვს: "ეს ჯილდოები, ჩემი აზრით, იმაზე კი არ მეტყველებს, თუ როგორია რეალურად ლიტერატურა, არამედ პირიქით – ის ჩვენს სურვილებს ასახავს, იმაზე მიანიშნებს, თუ როგორია ჩვენთვის მოსაწონი ლიტერატურა."



*ოლეგ პავლოვი*

თავისი რომანების მუქ ფერებს კი ავტორი ამგვარ ახსნას უძებნის: "მე თვითონ ვცხოვრობ ტრაგიკულ დროში. ასე განვიცდი და აღვიქვამ სინამდვილეს. ეს ჩემი არჩევანი და გამოცდილებაა, რომელსაც შემდეგ პროზად გარდავქმნი".

# ფოტოფალსიფიკატორი

მათიას ვენერი: "ეს არც შემოქმედებაა, არც გამბედაობა და არც რაიმე ახალი. სურათების გაყალბება ახალი აღმოჩენა სულაც არ არის"

ვერა ნეფარიძე

გერმანელი ფოტოგრაფი საკუთარი შემოქმედების დახასიათებისას საკმაოდ რეალისტი აღმოჩნდა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მისი ფოტონამუშევრების გამოფენა გუშინ სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში სრული ანშლაგით გაიხსნა. ფოტოსერია "უთვისებო მამაკაცი" და მისი ავტორი თბილისელებს "გოეთეს ინსტიტუტმა" წარუდგინა.

ფოტოგამოფენა საკმაოდ ხალისიანი დასათვალიერებელია. მათიას ვენერის ფოტოსურათების ციკლი "უთვისებო მამაკაცი" ირონიულად პასუხობს შეკითხვას – არის თუ არა ფოტოგრაფია ისტორიის ყველაზე დამაჯერებელი, უტყუარი საბუთი. ორმოცამდე კადრით, რომელიც ავტორმა 100 ათასი შავ-თეთრი ფოტოდან შეარჩია, გამოიცნობთ მათ ავტორს, რომელიც უკანასკნელი 40-50 წლის განმავლობაში მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილეა. ამ ფოტოსურათებში მას იხილავთ როგორც მეხუთე "ბითლზს", ფიდელ კასტროს მეგობარს, კენედის თანმხლებს; ნახავთ, როგორ საუზმობენ იოკო ონო და ჯონ ლენონი, მათიასი კი მათი საწოლიდან უთვალთვალებს და ა.შ. ეს კადრები პოლიტიკის, კულტურისა და სპორტის სფეროებიდანაა. ძირითადი ნაწილი მოძიებულია მიუნხენის ფოტომუზეუმში გაზეთ "კვიკის" არქივიდან.

მათიას ვენერმა ამ ექსპოზიციაზე მუშაობა 1993 წელს დაიწყო. სახელწოდება კი რობერტ მუზილის რომანს



*მათიას ვენერი სამხატვრო აკადემიაში*

"მოჰპარა", როგორც ამას თავად ვენერი აღიარებს. მაშინ ავტორი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მისი ფოტოსერიის ირგვლივ როდესმე ასეთი ხმაური ატყდებოდა - 1994 წლიდან დღემდე "უთვისებო მამაკაცი" ევროპასა და ამერიკაში 50-ჯერ გამოიფინა. წელს გოეთეს ინსტიტუტი მას ხუთივე კონტინენტს შემოატარებს.

"რასაკვირველია, ამ მოვლენებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ამ ყველაფერმა ჩემს ცხოვრებაზე გავლენა მოახდინა იმიტომ, რომ, ელემენტარულად, მე ამ ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი, როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი. ამ სურათებში ვარ ადამიანი, რომელსაც საკუთარი პოზიცია არ აქვს, ანუ ყველაფერში უბრალოდ ვმონაწილეობ, ყველაფერს მათთან ერთად ვაკეთებ", - ამბობს მათიას ვენერი, - რაც შეეხება ჩემს არჩევანს - შავთეთრი ფოტოების სერია გამეკეთებინა, ასე გადავწყვიტე, რადგანაც ამოღებული მაქვს კადრები 50-60-იანი წლების მოვლენებიდან. თანაც, ფერადი ფოტოების გაკეთება ყველას შეუძლია და ის ჩემთვის შვებულებაში გატარებულ პერიოდთან ასოცირდება".

ფოტოების გაყალბება ნამდვილად არ არის ახალი აღმოჩენა. ცნობილია, რომ 1871 წლის პარიზის კომუნიდან მოყოლებული, ერთგვარ ტრადიციად იქცა მანიპულირებული ფოტოების პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით გამოყენება. ნეგატივის თუ პოზიტივის რეტუშის გზით, კომპოზიციიდან აძევებდნენ ან, პირიქით, მონტაჟის ტექნიკით შემოჰყავდათ სასურველი ელემენტები. ფოტოფალსიფიკაციის ისტორიიდან ცნობილია კიდევ ერთი ამბავი, ერთ-ერთი ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალის მიერ დაკვეთილი ჯგუფური პორტრეტი, სადაც ვირტუალურ წვეულებაზე შეკრებილან ლედი დი, მუჰამედ კადაფი, რონალდ რეიგანი, დედოფალი ელისაბედი და ელვის პრესლი. ეიფორია, რომელსაც წინათ სურათების ახალი ელექტრონულ-ციფრული და ერთობ სახალისო საშუალებებით მანიპულაცია იწვევდა, ნელ-ნელა ეჭვად იქცა, რომ შესაძლებელია, ამ ტექნიკის ბოროტად გამოყენება და ამავე დროს ფაქტობრიობის დაკარგვა.

როგორ ტოვებს, ან არ ტოვებს ციფრული ლაბორატორიის კვალს საკუთარ ნამუშევრებში მათიას ვენერი, ამის შემოწმება 20 დეკემბრამდე შეგიძლიათ. "გოეთეს ინსტიტუტს" "უთვისებო მამაკაცი" თბილისიდან პოლონეთში მიაქვს.

## კალენდარი

13 დეკემბერი



თუკი ოდესმე გერმანულ ლიტერატურასთან შეხება გქონიათ, აუცილებლად გეხსომებათ "ლორელაი", რაინის კლდეებზე მჯდომი ოქროსთმიანი ლამაზმანი. ის ცნობილი კადრებიც გეხსომებათ, რომლებიც გერმანელი ნაცისტების მიერ წიგნების ბარბაროსულ დაწვას ასახავს - კომენტატორი აუცილებლად აღნიშნავს ხოლმე, რომ სხვა შედევრებთან ერთად კოცონზე ჰაინრიხ ჰაინეს წიგნებიც იწვის...

ჰაინრიხ ჰაინე, "გენიალური პოეტი რომანტიზმსა და რეალიზმს შორის", დიუსელდორფში დაიბადა. მამამისი, სამსონ ჰაინე, წარმოშობით ებრაელი იყო. პატარა ჰაინრიხი ლიცეუმში სწავლობდა, თუმცა ვერავინ უწოდებდა სამაგალითო მოსწავლეს – სიმწიფის ატესტატი ვერ მიიღო და ვაჭრის შეგირდად გაემგზავრა ფრანკფურტში. საერთოდ, ყმაწვილკაცობაში ქარაფშუტად ითვლებოდა და მხოლოდ ბიძამისის დახმარებით შეძლო საფუძვლიანი განათლების მიღება.

ჰაინეს შემოქმედების აკრძალვა ნაცისტების დაწყებული საქმე არ ყოფილა: საფრანგეთში მცხოვრები პოეტის ქმნილებები გერმანიაში 1835 წლიდან აიკრძალა, თავად ჰაინე კი 1856 წელს პარიზში გარდაიცვალა.

არადა, დღეს გერმანული ლიტერატურა ჰაინეს გარეშე წარმოუდგენელია. მისი გვიანრომანტიკული ლექსების სკეპტიკური და ირონიული სტილი სანიმუშოდაა მიჩნეული, პროზაული ნაწარმოებების წყალობით კი ჰაინე თანამედროვე გერმანული ფელეტონიზმის მამამთავრად ითვლება.

ჰაინრიხ ჰაინე 1807 წლის 13 დეკემბერს დაიბადა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

